

გენადი მესხია

საქართველოს ელექტროენერგეტიკის  
სექტორში პროგრესული რეფორმა  
უნდა გატარდეს

თბილისი, 2009

გენადი მესხია, აკადემიური დოქტორი, ენერგეტიკის აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, “მცირე, მინი და მიკრო ჰესების ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი.

წიგნში “საქართველოს ელექტროენერგეტიკის სექტორში პროგრესული რეფორმა უნდა გატარდეს” მოცემულია საქართველოს ელექტროენერგეტიკის სექტორის უახლესი პერიოდის ანატომია. გაანალიზებულია 1996-2006 წ.წ. საქართველოს ელექტროენერგეტიკის სექტორში გატარებული რეფორმები.

ნაშრომში დასაბუთებულია ელექტროენერგეტიკის სექტორში ახალი პროგრესული რეფორმის გატარების აუცილებლობა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების განმტკიცებას, ენერგოსექტორში საბაზრო ეკონომიკის პრინციპების რეალიზაციის ხელშეწყობას, ქვეყანაში არსებული ბუნებრივი, მატერიალური, ფინანსური, ადამიანური რესურსების ეფექტურ გამოყენებას, სახელმწიფოს, ენერგოსექტორისა და მომხმარებლის ინტერესების შეჯერებას და სხვა.

ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოს ელექტროენერგეტიკის სექტორის განვითარებისათვის გასატარებელი საჭირო ძირითადი კონცეპტუალური ღონისიებები.

ნაშრომი განკუთვნილია მთავრობაში და ენერგეტიკის სექტორში მოღვაწე პირების, მეცნიერების, ექსპერტების და ენერგეტიკით დაინტერესებული პირთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი - ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი, ტექნიკური უნივერსიტეტის  
სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი  
ზურაბ გედენიძე

რეცენზენტი - აკადემიური დოქტორი, ტექნიკური  
უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და  
ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის  
ასოციირებული პროფესორი,  
ენერგეტიკის აკადემიის წევრი  
კონსტანტინე წერეთელი

## შინაარსი

რედაქტორისაგან;

შესავალი;

**ნაწილი 1. საქართველოს ელექტროენერგეტიკის სექტორის უახლესი პერიოდის ანატომია;**

1. სახელმწიფო მინისტრის ბატონ ვ. ბენდუქიძის მიერ ელექტროენერგეტიკის სექტორში გატარებული რეფორმა;

1.1. რეფორმის ძირითადი მიზნები;

1.2. რეფორმის არსი;

1.3. რეფორმის ამოცანები და განხორციელების მექანიზმები;

1.4. რეფორმის ხელშემწყობი “მზაკვრული” ღონისძიებები და მისი გატარებით მიღებული შედეგები;

**ნაწილი 2. ელექტროენერგეტიკის სექტორში პროგრესული რეფორმა უნდა გატარდეს;**

2. საქართველოს ელექტროენერგეტიკის განვითარების ძირითადი კონცეპტუალური ღონისძიებები;

2.1. ელექტროენერგეტიკის სექტორის რეორგანიზაცია;

2.2. ენერგეტიკის სამინისტროს რეორგანიზაცია;

2.3. საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა;

2.4. სემეკის სრულყოფა;

2.5. «მომხმარებლის ინტერესების დაცვის დეპარტამენტის» სრულყოფა;

2.6. «საქართველოს ელექტროენერგეტიკის ცენტრის» დაფუძნება;

2.7. უცხოელი ექსპერტების, საზღვარგარეთიდან მიღებული დახმარების ფონდების და გრანტების რაციონალური და ეფექტური გამოყენება;

2.8. საქართველოს რეგიონებში მოსახლეობის კერძო სექტორში მოხმარებული ელექტროენერგიის აღრიცხვა-დარიცხვის ტექნოლოგიის და ენერგოგადასახადების ამოღების გაუმჯობესება;

2.9 მცირე ელექტროსადგურების მშენებლობის ტემპების გაზრდა;

2.10 ენერგობიექტების ობიექტური და ეფექტური პრივატიზაციის განხორციელება;

2.11 კორუფციასთან უკომპრომისო ბრძოლის გაძლიერება;

2.12 ენერგოქსელში კომერციული და ტექნიკური დანაკარგების შემცირების ღონისძიებების და მექანიზმების დამუშავება-დანერგვა;

2.13 ენერგოდაზოგვის სამსახურის დაფუძნება;

2.14 უცხოეთში გამავალი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების მშენებლობის დაჩქარება;

2.15 ელექტროენერგიის ტარიფის პოლიტიკის და მისი სიდიდის დადგენის მეთოდოლოგიის სრულყოფა;

**რეზიუმე.**

## რედაქტორისაგან

ელექტროენერჯის გამომუშავება და მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე ცივილიზაციის დონის ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი მაჩვენებელია. ამ მაჩვენებლით საქართველო ევროპაში ბოლო ადგილზე იმყოფება, რაც უდავოდ საგანგაშო და სამარცხვინო ფაქტია ისეთი მდიდარი ჰიდროენერგოპოტენციალის და ცოდნა-გამოცდილების მქონე ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა. ქვეყნის ელექტროენერჯეტიკის სექტორში მიღწეული “წარმატება” შესაბამისი დონის მენეჯმენტით და კორუფციის მასშტაბით არის გამოწვეული.

ქვეყანაში არსებული ენერგორესურსების პოტენციალი და მათი ეფექტური გამოყენების დონე მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ საქართველოს ენერგოუსაფრთხოებას, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას და მოსახლეობის სოციალური პირობებისა და გარემოს დაცვის დონეს და სხვა.

საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში ენერგო-სექტორში ჩატარდა ორი რეფორმა. პირველის სულისჩამდგმელი იყო USAID, რომლის რეკომენდაციებით ქვეყნის ერთიანი ენერგოსისტემა დაიშალა შემადგენელ ნაწილებად. განხორციელდა რიგი ენერგობიექტების ფორსირებული რეაბილიტაცია და პრივატიზაცია. დაფუძნდა საქართველოს ენერჯეტიკის ეროვნული მარეგულირებელი კომისია. ამ რეფორმამ გარკვეულწილად გამოასწორა ქვეყნის ელექტროენერჯით მომარაგება, მაგრამ ვერ დაძლია ქვეყანაში ენერგოკრიზისი.

მეორე რეფორმა სახელმწიფო მინისტრის, ბატონ კ. ბენდუქიძის იდეოლოგიით განხორციელდა. სახელმწიფოს სახსრებით ჩატარდა პრივატიზაციაზე გასატანი ჰიდროელექტროსადგურების რემონტი. მოხდა ელექტროენერჯეტიკის სექტორის დაშლილი ობიექტების გაერთიანება და “ენერგო პრო“-ს დაფუძნება. ამჟამად “წარმატებული” დარგი “სტაბილურ,” მაგრამ უპერსპექტივო მდგომარეობაშია. ენერჯეტიკოსები დიდი ხანია აყენებენ პრინციპიალურ კითხვას: რამდენად მიზანშეწონილია სტრატეგიული ენერგობიექტების პრივატიზაცია და ისიც ნახევარ და მესამედ ფასში? ტარიფების პერმანენტული და უმეტეს შემთხვევაში, ხელოვნური ზრდა მომხმარებლის უფლებების უხეში დარღვევით? მეცნიერების და ექსპერტების აზრით ენერჯეტიკის სექტორში მიმდინარე პოლიტიკა დღეს არაპროგრესულია და ამუხრუჭებს მის განვითარებას.

ბროშურის ავტორი გვთავაზობს ელექტროენერჯეტიკის სექტორის ახალ სტრუქტურას და იმ ძირითად კონცეპტუალურ ღონისძიებების გატარებას, რომლებიც პროგრესული რეფორმის საფუძველი უნდა გახდეს.

ავტორის რეკომენდაციები ელექტროენერჯეტიკის სექტორში ახალი ინსტიტუტების (ენერჯეტიკის მონიტორინგის სამსახურის, საქართველოს ელექტროენერჯეტიკის ცენტრის, ენერგოდაზოგვის და ენერგოეფექტურობის სამსახურის და სხვა) დაფუძნებასთან, პრივატიზაციის პროცესების ობიექტურად განხორციელებასთან, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფასთან და მომხმარებლის უფლებების დაცვის აუცილებლობასთან დაკავშირებით უდავოდ აქტუალური და პროგრესულია.

ყურადღებას და დადებით შეფასებას იმსახურებენ ბატონ გ. მესხიას და მისი შემოქმედებითი ჯგუფის მიერ დამუშავებული ენერგოდაზოგვის, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესების და გარემოს დაცვის პროექტები. აქ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ავტორის ინოვაციური ხედვა, რომ ენერგოდამზოგი ტექნოლოგიები და მოწყობილობები (კერძოდ, ენერგოდამზოგი ნათურები) ირიბად დაბალ ტარიფიან ეკოლოგიურად უსაფრთხო ელექტროენერჯის “წყაროს” წარმოადგენენ. უდავოა, რომ ენერგოდამზოგი ტექნოლოგიების (ნათურების) მასშტაბური დანერგვა მნიშვნელოვან წილს შეიტანს ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების განმტკიცების, გარემოს დაცვის, ტარიფის შემცირების ან/და მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესების საქმეში.

ქვეყნის ჰიდრო და ენერგორესურსების პოტენციალის შეფასებასთან დაკავშირებით მეცნიერებს, ექსპერტებს და სამეცნიერო ორგანიზაციებს შორის არსებობს აზრთა სხვაობა.

დღეს დადგა ამ მონაცემთა ბაზის ყუველწლიური გადახედვის და დაზუსტების აუცილებლობა.

მინდა ვურჩიო ბროშურის ავტორს უფრო მეტი სიფრთხილით და პასუხისმგებლობით მოეკიდოს ბროშურაში მოყვანილ სტატისტიკურ მონაცემებს და მათზე დაყრდნობით გაკეთებულ შეფასებებს.

დასასრულს მინდა აღვნიშნო, რომ ბატონ გ. მესხიას ნაშრომში “საქართველოს ელექტროენერჯეტიკის სექტორში პროგრესული რეფორმა უნდა გატარდეს” მოყვანილი ღონისძიებების და რეკომენდაციების შესრულება-გატარება მნიშვნელოვან წილს შეიტანს საქართველოს ელექტროენერჯეტიკის განვითარებაში.

**პროფესორი ზურაბ გედენიძე**

## შესავალი

საქართველოს ელექტროენერგეტიკის სექტორის რეფორმას წინ უნდა უძღვოდეს არსებული მდგომარეობის ობიექტური ანალიზი. მიღებული შედეგების, ქვეყანაში არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური, ფინანსური, საკადრო და შრომითი რესურსების და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, უნდა დამუშავდეს პერსპექტივაზე ორიენტირებული პროგრესული რეფორმის მოდელი.

ნაშრომი შედგება ორი ნაწილისა და რეზიუმესაგან.

ნაწილ 1-ში მოცემულია 1996-2008 წწ. საქართველოს ელექტროენერგეტიკის სექტორის ანატომია. გაანალიზებულია უახლოესი პერიოდის ელექტროენერგეტიკის სექტორში ენერგოკრიზისის გამომწვევი მიზეზები.. ძირითადი აქცენტი გაკეთებულია ახალ მთავრობის მიერ ელექტროენერგეტიკის სექტორში გატარებულ რეფორმაზე.

ნაწილ 2-ში დასაბუთებულია საქართველოს ელექტროენერგეტიკის სექტორში ახალი პროგრესული რეფორმის გატარების აუცილებლობა. მოყვანილია საქართველოს ელექტროენერგეტიკის განვითარებისთვის გასატარებელი კონცეპტუალური ღონისძიებები.

ახალი რეფორმის მთავარი მიზნებია:

- ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების განმტკიცება.;
- საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრინციპების რეალიზაციისთვის ხელშეწყობა;
- საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა;
- ელექტროენერგეტიკის სექტორის ოპტიმალური მოდელის შექმნა;
- სახელმწიფოს, ენერგოსექტორისა და მომხმარებლის ინტერესების მაქსიმალური შეჯერება;
- ეკონომიკის და საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურის დინამიური განვითარების დაკმაყოფილება ელექტროენერგიით;
- ქვეყანაში არსებული ენერგეტიკული, მატერიალური, ფინანსური, შრომითი და ინტელექტუალური რესურსების, უცხოეთიდან მიღებული დახმარებების და გრანტების სწორი და ეფექტური გამოყენება.;
- ენერგოსექტორში ენერგოდაზოგვის და ენერგოეფექტურობის ღონისძიებების მასშტაბური რეალიზაცია;
- ელექტროენერგიის ექსპორტის და ტრანზიტის გაზრდის დაჩქარების აუცილებლობა;
- ენერგოსექტორში კორუფციის აღმოფხვრის აუცილებლობა;
- ელექტროენერგიის ტარიფის პოლიტიკის და მისი სიდიდის დადგენის მეთოდოლოგიის სრულყოფა;
- მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება;
- მომხმარებლის უფლებების და ინტერესების დაცვა და სხვა..

ბუნებრივია, რომ ამ ნაშრომში ვერ იქნებოდა გაცემული პასუხი ყველა იმ პრობლემებზე და კითხვებზე, რომლებიც დღეს მრავლადაა დაგროვილი ენერგოსექტორში.

ავტორის მიერ მიღებული რეკომენდაციების და წინადადებების შეჯერება და შევსება სხვა მეცნიერების, ექსპერტების, პრაქტიკოსი ენერგეტიკოსების წინადადებებთან და რეკომენდაციებთან, უცხო ქვეყნების გამოცდილებასთან, დააჩქარებს სრულყოფილ და სრულფასოვან ელექტროენერგეტიკის რეფორმის მოდელის დამუშავებას.

ავტორი მაღლობას უხდის ყველას, ვინც წარმოადგენს თავის კრიტიკულ შენიშვნებს, საქმიან მოსაზრებებს, წინადადებებსა და რეკომენდაციებს.

## ნაწილი 1

### საქართველოს ელექტროენერგეტიკის სექტორის უახლესი პერიოდის ანატომია

საქართველოში 1990-1995 წლებში ელექტროენერჯის წარმოება შემცირდა 50,3%-ით, მოხმარება 2,2 ჯერ, მათ შორის მრეწველობაში 8,4-ჯერ. 1996-2000 წწ. ელექტროენერჯის წარმოება გაიზარდა 5,15% -ით, ხოლო მოხმარება - ფაქტიურად არ შეცვლილა და შეადგენდა 1995წ. - 7836, 2000წ. - 7841 მლნ.კვტ.სთ. 2000-2005 წლებში ელექტროენერჯის წარმოება ფაქტიურად არ გაზარდილა, მოხმარება გაიზარდა 6,8%-ით. საქართველოს ენერგოსისტემაში მომუშავე ელექტროსადგურებმა 2005 წელს გამოიმუშავეს 7061 მლნ.კვტ.სთ ელექტროენერჯია, ანუ 2,3%-ით მეტი 2004 წელთან შედარებით. აქედან ჰიდროელექტროსადგურებმა გამოიმუშავეს 6030,4 მლნ.კვტ.სთ, ხოლო თბოელექტროსადგურებმა 1030,6 მლნ.კვტ.სთ. ამ პერიოდში ქვეყნის წლიურ ბალანსში ელექტროენერჯის დეფიციტმა შეადგინა 1,3 მლრდ კვტ.სთ.

საქართველოში ენერგოკრიზის გამომწვევი მიზეზები იყო:

- 90-იან წლებში, ქვეყანაში განვითარებული პოლიტიკური, ეკონომიკური, სიციალური და სხვა ნეგატიური მოვლენები;
- ენერგოსექტორში ძირითადი ფონდების ტექნიკური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება;
- დანადგარებისა და მოწყობილობების ფიზიკური და მორალური ცვეთა;
- მთავრობის მიერ გატარებული მანკიერი ენერგო და საკადრო პოლიტიკა;
- არასრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა;
- სემეკის კომისიის წევრების უპრიციპულობა, ობიექტური და ინოვაციური გადაწყვეტილებების მიღების უუნარობა;
- კორუფციის არნახული მასშტაბები;
- ენერგოსექტორში უზომოდ გაზარდილი ტექნიკური და კომერციული დანაკარგები;
- ელექტროენერჯის აღრიცხვის და მისი საფასურის ამოღების უკიდურესად დაბალი დონე და სხვა;

ამ და სხვა ფაქტორებმა მნიშვნელოვნად დააზარალა ენერგეტიკა და მოსახლეობა, დაამუხრუჭა ქვეყნის ეკონომიკის განვითარება და მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესება.

საქართველოში ენერგოკრიზისიდან გამოსვლა იწყება 1996 წლიდან. მთავრობის გადაწყვეტილებით სახელმწიფოს ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები, უცხოური დახმარების ფონდები და გრანტები (რამდენიმე ასეული მლნ, აშშ.დოლარი) მოხმარდა ჰესების და თესების სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოების ფორსირებულ ჩატარებას, მათ ტექნიკურ გადაიარაღებას და აბონენტების გამრიცხველიანობას. ენერგეტიკაზე გამოყოფილი სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილი კორუფციამ შთანთქა.

ენერგოსექტორში ელექტროენერჯის წარმოების ზრდამ, ელექტროენერჯის დატაცების მკვეთრმა შემცირებამ, მომხმარებლების მასშტაბურმა გამრიცხველიანობამ, სამომხმარებლო ტარიფის მკვეთრმა გაზრდამ და სხვა ფაქტორებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს ქვეყნის ელექტროენერჯით მომარაგება.

2006 წელს, ზამთრის სეზონში ელექტროენერჯის დეფიციტი 20%-მდე დავიდა, რომლის შევსება განხორციელდა უცხოეთიდან იმპორტირებული ელექტროენერჯით: რუსეთიდან - 465 მლნ.კვტ.სთ, სომხეთიდან - 186 მლნ.კვტ.სთ, თურქეთიდან - 107 მლნ.კვტ.სთ და აზერბაიჯანიდან - 87 მლნ.კვტ.სთ.

2007-2008 წწ. საქართველოს ენერგოსექტორში მიღწეული პროგრესი შთამბეჭდავია. ქვეყანაში წარმოებულმა ელექტროენერჯის ჯამურმა სიმძლავრემ 3 100 მგვტ-ს, ხოლო ელექტროენერჯის გამომუშავებამ - 9,85 მლრდ.კვტსთ-ს მიაღწია.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების არსებულ პირობებში, ელექტროენერჯია მიეწოდება ყველას, ვინც მის საფასურს იხდის. განათებულია ქუჩები და საავტომობილო ტრასები."საქართველო დღეს ელექტროენერჯის ექსპორტს აწარმოებს თურქეთში და გარკვეული რეზერვებიც გააჩნია"- ამბობს ენერგეტიკის მინისტრი, ბატონი ა. ხეთაგური. "შეუიარაღებელი თვალთ" რომ შევხედოთ, ელექტროენერჯეტიკის სექტორი დღეს ყველაზე წარმატებული დარგია ქვეყანაში.

ენერგოსექტორში ბოლო პერიოდში მიღწეულ "წარმატებებში" მნიშვნელოვანი წილი შეიტანა სახელმწიფო მინისტრის ბატ. კ. ბენდუქიძის მიერ დამუშავებულმა "საქართველოს ელექტროენერჯეტიკის სექტორის რეფორმამ".

## **1. სახელმწიფო მინისტრის ბატონ კ. ბენდუქიძის მიერ ელექტროენერჯეტიკის სექტორში გატარებული რეფორმა**

### **1.1 რეფორმის ძირითადი მიზნები:**

*ა). ელექტროენერჯეტიკული სექტორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების მინიმუმამდე შემცირება;*

ენერგობიუჯეტების პრივატიზაციის ხელშეწყობის მიზნით, და აქედან მიღებული სახსრებით სახელმწიფო ბიუჯეტის გაზრდის მოტივაციით, სემეკმა მთავრობის დაკვეთით 2006 წლის 1 ივნისიდან №18 დადგენილებით მკვეთრად გაზარდა ელექტროენერჯის ტარიფი (თბილისში 18,7%-ით, რეგიონებში 80%-ით).



სამომხმარებლო ტარიფის ასეთმა მასშტაბურმა გაზრდამ უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენა მომხმარებელი, განსაკუთრებით მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენა.

ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური პირობების შემსუბუქების მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის დავალებით, მთავრობამ სოციალურად დაუცველ ოჯახებს, მასწავლებლებს, პენსიონერებს და მათთან გათანაბრებულ ადამიანებს, ელექტროენერგიაზე და ბუნებრივ გაზზე დაურიგა 50-50 ლარიანი ვაუჩერები.

საქართველოს პრეზიდენტის სოციალური დახმარების პროგრამის რეალიზაციით 2,8 მლნ. ადამიანმა მიიღო 140 მლნ ლარის ღირებულების ელექტროენერგიის ვაუჩერი.

*გამოიყენა კი მთავრობამ ეფექტურად სახელმწიფო სუფსიდიები? არა!!!* მთავრობას შეეძლო სახელმწიფო დახმარების ფონდის ეფექტურად გამოყენება, თუ ის სახელმწიფო სუფსიდიებს გადაანაწილებდა სქემით: ელექტროენერგიის ვაუჩერების ღირებულება (109 მლნ.ლარი) + “ენერგოდაზოგვის, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების და გარემოს დაცვის პროექტის” რეალიზაციის ხარჯები (31 მლნ.ლარი).

“სახალხო” პროექტის მიხედვით ყველა უმწიფო ოჯახი უსასყიდლოდ მიიღებდა ორ-ორ ცალ 15000 საათიანი რესურსის მქონე ენერგოდამზოგ ნათურას 2 წლიანი საგარანტიო მომსახურებით.

სახელმწიფო დახმარების ფონდის ამ ინოვაციური სქემით მოხმარების შემთხვევაში მოსალოდნელი ტექნიკურ-ეკონომიკური და სოციალური-ეკოლოგიური ეფექტი იქნებოდა:

- საქართველოში 2,8 მლნ ადამიანი მიიღებდა 39 ლარის ღირებულების ელექტროენერგიის ვაუჩერს, ნაცვლად 50 ლარისა;

- ქვეყანაში ყოველწლიურად დაიზოგებოდა 265 მლნ-კვსთ ელექტროენერგია;

- საქართველოს თითოეული ოჯახი ნათურის საგარანტიო მომსახურების პერიოდში გარანტირებულად დაზოგავდა 130 ლარს, ხოლო რესურსის პერიოდში 130-473 ლარის ფარგლებში;

- სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ჯამური დანაზოგი იქნებოდა 190 მლნ.ლარი.

- პიკის საათებში ენერგოქსელში 104 მგვტ-ით შემცირდებოდა სიმძლავრის დეფიციტი. (ამ სიმძლავრის ელექტროსადგურის ასაშენებლად საჭიროა სულ მცირე 104 მლნ. აშშ. დოლარი, რომ არაფერი ვთქვათ ელექტროსადგურის ექსპლოატაციის ხარჯებზე);

- ატმოსფეროში CO<sub>2</sub>-ის ემისია შემცირდებოდა 0,91 მლნ. ტონით, რაც ასევე დამატებითი შემოსავლის წყარო იქნებოდა (1 ტონა CO<sub>2</sub> ემისიის ვაუჩერის ფასი მსოფლიო ბაზარზე 12-15 აშშ. დოლარს შეადგენს);

პროექტის რეალიზაციით შესაძლებელი იყო ელექტროენერგიის წლიურ ბალანსში ძვირადღირებული ელექტროენერგიის წილის შემცირება და ამით მარტო გენერაციის შეწონილ ტარიფში 0,26 თეთრი/კვტ.სთ-ის სიდიდის რეზერვის შექმნა. მომხმარებლისათვის ტარიფის სიდიდის შენარჩუნების პირობებში ენერგოსისტემიდან შესაძლებელი იყო ყოველწლიურად მიგველო 25 მლნ.ლარი. რომლის გამოყენება

შეიძლება დასახელდეს ბიუჯეტის შესავსებად ან/და ახალი სოციალური პროგრამის დასაფინანსებლად.

უნდა აღინიშნოს, რომ თვითდაფინანსებადი “სახალხო პროექტის” რეალიზაციის დაფინანსებაზე გამოყენებული სახსრების ეფექტურობა იზრდება საშუალოდ 100%-ით.

სამწუხარად აღნიშნული პროექტი დაიბლოკა. ვინ და რატომ დაიბლოკა პროექტი? პროექტი დაიბლოკეს საქართველოს მთავრობის მაღალი რანგის ჩინოვნიკებმა, რომლებიც დღესაც ლობირებენ სადისტრიბუციო კომპანიებს. ამ კომპანიებს დღესაც არ აწყობთ ელექტროენერჯის დაზოგვა მომხმარებლებთან და უცხოეთში გაყიდვა, ვინაიდან ისინი საქართველოში ელექტროენერჯიას ყიდნიან უკიდურესად მაღალ ფასებში.

ბ). *გადამხდელი მომხმარებლის სტაბილური უზრუნველ-ყოფა ელექტროენერჯით.*

განვითარებულ ქვეყნებში მრეწველობის სექტორი წარმოებული ელექტროენერჯის 50-60%-ს მოიხმარს. დღეს საქართველოში ელექტროენერჯის ძირითადი მომხმარებლები არიან საყოფაცხოვრებო, კომუნალური, კავშირგაბმულობის, მშენებლობის, განათლების, ჯანდაცვის და სხვა სექტორები. ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული-მოხმარებული ელექტროენერჯის მოცულობით საქართველო 3-9 ჯერ ჩამორჩება განვითარებულ ქვეყნებს. აღნიშნულის გათვალისწინებით ენერგოსექტორში მიღწეული შედეგები დიდ წარმატებად არ უნდა ჩაითვალოს.

გ). *კოლექტიური გათიშვების აღმოფხვრა.*

ელექტროენერჯის აღრიცხვის და მისი საფასურის დარიცხვის ტექნოლოგია დღეს არასრულყოფილი და არაობიექტურია. ელექტროენერჯის აღრიცხვის არსებული მექანიზმი შესაძლებლობას აძლევს მომსახურე პერსონალს და მომხმარებელს აწარმოონ ელექტროენერჯის დატაცება, როგორც გამანაწილებელ სისტემაში, ასევე ძალოვან ქსელში. სადისტრიბუციო კომპანია კი კომერციული დანაკარგების ჩამოწერას აწარმოებს კომუნალურ მრიცხველებზე “მიზმულ” მოსახლეობაზე.

საქართველოს რეგიონებში კერძო სექტორში ელექტროენერჯის აღრიცხვა-დარიცხვა წარმოებს კომუნალური მრიცხველებით. თითოეულ ოჯახზე გადასახადის დარიცხვა ხორციელდება გასაშუალებული მეთოდით (საშუალო არითმეტიკული), რაც არაობიექტურია, ვინაიდან “მადიანი და უმადო”, “კეთილსინდისიერი” და “არაკეთილსინდისიერი” აბონენტი ჩაყენებულია თანაბარ პირობებში. კომუნალურ მრიცხველზე აღრიცხული ელექტროენერჯის საფასურის სრულად არდაფარვის შემთხვევაში ითიშება აბონენტების საერთო ძალოვანი ქსელი და ყველას უწყდება ელექტროენერჯის მიწოდება. ამ უკანონო აქციას ეწირება “პატიოსანი” აბონენტი. ბუნებრივია, ირღვევა მომხმარებლის უფლებები, რაც მოსახლეობის სამართლიან პროტესტს იწვევს.

დ). *ენერგოსისტემაში უკონტროლო პროცესების და არასტაბილურობის გამორიცხვა.*

გენერაციის და განაწილების ობიექტების გაერთიანებით, ენერგოსექტორი აღმოჩნდა კერძო მეპატრონის ხელში, რითაც გაუმჯობესდა ენერგობიექტების, დანადგარების და ა.შ. მოვლა-პატრონობის ხარისხი, აღმოიფხვრა შიდა კორუფცია და უკონტროლო პროცესები და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ელექტროენერჯის

მომხმარებელზე მიწოდების სტაბილურობა. სამაგიეროდ მივიღეთ “მონსტრი” კომპანია “ენერგო პრო”, რომელიც ელექტროენერჯის დისტრიბუციას აწარმოებს საქართველოს ყველა რეგიონში, გარდა თბილისისა.

ე). რეფორმით გამოწვეულ სატარიფო ცვლილებებს არ უნდა ემოქმედა მომხმარებელზე.

რეფორმატორის მიერ პრეზენტაციაზე წარმოდგენილი რეფორმის პროექტი არ ითვალისწინებდა სამომხმარებლო და გატარების ტარიფების გაზრდას. “მადა ჭამაში მოდისო” და მთავრობამ სემეკს 2006 წლის №18 დადგენილებით ხელოვნურად გააზრდევინა ელექტროენერჯის გენერაციის ტარიფი 1,633 თეთრი/კვტსთ-ით, ხოლო განაწილების ტარიფი: თბილისში 0,56 თეთრი/კვტსთ-ით, ხოლო რეგიონში - 3,612 თეთრი/კვტსთ-ით. ტარიფების ასეთი მკვეთრი ზრდა უარყოფითად აისახა ეკონომიკაზე, მოსახლეობაზე და, განსაკუთრებით, სოციალურად დაუცველ ოჯახებზე.

## 1.2 რეფორმის არსი

რეფორმის პროექტის მიხედვით ელექტროენერჯეტიკის სექტორში უნდა ყოფილიყო შემდეგი სტრუქტურული მოწყობა:

1. “გაერთიანებული ენერჯოკომპანია დასავლეთი”.
2. “გაერთიანებული ენერჯოკომპანია აღმოსავლეთი”.
3. “ენერჯოკომპანია ენგური” (ენგური, ვარდნილი).
4. “თბილისის ენერჯოკომპანია” (“თელასი”, ხრამი-1, ხრამი- 2 და “მტკვარი”).
5. “სხვა დანარჩენი კომპანიები” (კერძო).
6. გადაცემა-დისპეტჩერიზაცია.

კომპანიებში “დასავლეთი” და “აღმოსავლეთი” უნდა გაერთიანებულიყო გენერაციის სადგურები (ჰესები, თბოსადგურები) და გამანაწილებელი (სადისტრიბუციო) კომპანიები. ფაქტიურად იქმნებოდა ფინანსურად დამოიკიდებელი სს “რაო თელასის” ანალოგიური ორი მსხვილი კომპანია.

ორი გაერთიანებული კომპანიების (“დასავლეთი” და “აღმოსავლეთი”) მაგივრად, შეიქმნა ჩეხური კომპანია “ენერგო პრო”, რომელმაც 2006 წლის ზაფხულიდან 2007 წლის ზამთრამდე პერიოდში შეიძინა “გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანია (UEDC)” - 85 მლნ.აშშ. დოლარად, “აჭარის სადისტრიბუციო კომპანია” - 30 მლნ.აშშ. დოლარად და “კახეთის ენერჯოდისტრიბუცია” - 5,1 მლნ. აშშ.დოლარად და ექვსი ჰიდროელექტროსადგური: “ანწჰესი” 18 მგვტ სიმძლავრის - 5,12 მლნ.აშშ. დოლარად, “ლაჯა-ნურჰესი” 119 მგვტ - 66,5 მლნ.აშშ. დოლარად, “გუმათჰესი” 67 მგვტ - 45 მლნ.აშშ. დოლარად, “მევრულაჰესი” 80 მგვტ - 20 მლნ.აშშ. დოლარად, “შაორჰესი” 38 მგვტ - 436 მლნ.აშშ. დოლარად და “რიონჰესი” 50 მგვტ - 44,7 მლნ.აშშ. დოლარად. მათი ჯამური სიმძლავრე 372 მგვტ-ს შეადგენს, ხოლო გამომუშავებული ელექტროენერჯის პოტენციალური მოცულობა 3259 მლნ.კვტ.სთ-ს. მთავრობის ინფორმაციით 9 ენერჯობიექტის შესყიდვაზე “ენერგო პრომ” საერთო ჯამში გადაიხადა 317,42 მლნ.აშშ. დოლარი. აუდიტორული შეფასებით მარტო ჰესების სასტარტო ჯამური ღირებულება უნდა ყოფილიყო არანაკლებ 372 მლნ.აშშ. დოლარისა (1 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა საშუალოდ ჯდება 1-1,5 მლნ.აშშ. დოლარი).

ამას თუ დავუმატებთ სადისტრიბუციო კომპანიების ღირებულებას, გამოდვა, რომ “ენერგო პრომ” ნახევარ ფასში შეისყიდა პერსპექტიული ენერგობიზნესები და დაეუფლა საქართველოში ელექტროენერჯის დისტრიბუციის სეგმენტის 62,5%.

### 1.3 «რეფორმის» ამოცანები და განხორციელების მექანიზმები

- ა). ახალი კერძო კომპანიების ჩამოყალიბებისთვის ხელშეწყობა;
  - ბ). ახალ კომპანიებში ჩადებული ინვენსტიციების (200 მლნ.ლარი) მოხმარება ენერგოსექტორის განვითარებისთვის;
  - გ). ენერგოსექტორში შეუზღუდავი კონკურენციის დამკვიდრება.
  - დ). მომხმარებელთან ურთიერთობის დარეგულირება ხელშეკრულების პირობებით;
  - ე). სატარიფო სქემები უნდა ყოფილიყო ხელშეკრულების საგანი;
  - ვ). სხვა დანარჩენი კომპანიები უნდა ყოფილიყვნენ ფინანსურად მდგრადი;
  - ზ). უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ლიცენზირების გარდა ყველა სხვა სახის ლიცენზირების გაუქმება (მათ შორის ექსკლუზიურის);
  - თ). თბოელექტროსადგურების მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერჯის პირდაპირი პროპორციით გადანაწილება ბაზრის წევრებზე;
  - ი). მარეგულირებელი ჰიდროელექტროსადგურების ბაზისურ რეჟიმში დატვირთვის შეზღუდვა (გარდა წყალუხვი პერიოდისა);
  - კ). ენერჯის გაზრდილი სიმძლავრის და ექსპლუატაციის ახალი რეჟიმის ხარჯზე პიკური სიმძლავრის დეფიციტის მკვეთრად შემცირება;
  - ლ). თბოსადგურების საბაზო რეჟიმში მუშაობის უზრუნველყოფა;
  - მ). სამომხმარებლო ტარიფების და ტრანზიტის ტარიფის ზედა ზღვრის დადგენა;
- ზემოთ მოყვანილი ინფორმაციის და შემდგომ განვითარებული მოვლენების ანალიზმა დაგვანახა, რომ “რეფორმაში” დასმული ამოცანები და განხორციელების მექანიზმები ემსახურებოდა ერთ ძირითად მიზანს - “ენერგო პროს” დაფუძნებას და მისთვის წარმატებული ბიზნესის ხელშეწყობი პირობების შექმნას. ასე მაგალითად: პოზ. “თ”, “კ” და “ლ” წარმოადგენენ “ენერგო პრო“-ს სტაბილური მუშაობის ხელშეწყობ პირობებს. პოზ. “გ” და “დ” საქართველოს ენერგობაზრის დაუფლების ხელშეწყობ პირობებს, ხოლო პოზ. “ლ”, “ზ” და “მ” “ენერგო პრო“-ს შემოსავლების მიღების გარანტიის ხელშეწყობ პირობებს. ბუნებრივია, რეფორმის ამოცანების რეალიზაციას და განხორციელების მექანიზმების ამოქმედებას სჭირდებოდა შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

### 1.4 «რეფორმის» ხელშეწყობი მზაკვრული ღონისძიებები და მისი გატარებით მიღებული შედეგები

*1. ანტიმონოპოლიური სამსახურის გაუქმება.*

«რეფორმატორმა» “ენერგო პრო“-ს დაფუძნებამდე გააუქმა აღნიშნული სამსახური.

2. საქართველოს მთავრობის დაკვეთით სემეკმა 2006 წლის №18 დადგენილებით ელექტროენერჯის ტარიფი ხელოვნურად გაუზარდა ყველა იმ ჰიდროელექტროსადგურს და სადისტრიბუციო კომპანიას, რომლებიც უნდა გატანილიყო “მზაკვრულ” ტენდერზე. “ანწქესს” ტარიფი გაუზარდეს – 2,14 თეთრი/კვტ.სთ-ით, ლაჯანურჰესს – 1,3 თეთრი/კვტ.სთ-ით, გუმათჰესს – 2,14 თეთრი/კვტ.სთ-ით, ძვერულაჰესს – 2,36 თეთრი/კვტ.სთ-ით, შაორჰესს – 2,24 თეთრი/კვტ.სთ-ით, რიონჰესს – 2,0 თეთრი/კვტ.სთ-ით, ხოლო გაერთიანებულ სადისტრიბუციო კომპანიას “აჭარის სადისტრიბუციო კომპანიას” და “კახეთის ენერგოდისტრიბუციას”- 3,592 თეთრი/კვტ.სთ-ით.

ტარიფის ხელოვნური გაზრდით ამ ჰესების წლური ჯამური შემოსავალი გაიზარდა 62,22 მლნ. ლარით, ხოლო სადისტრიბუციო კომპანიების - 74,8 მლნ.ლარით. შესაბამისად გაიზარდა ქვეყანაში სამომხმარებლო ტარიფი. ამ უკანასკნელმა, მნიშვნელოვნად დააზარალა მომხმარებელი, ქვეყნის ისედაც ენერგოტევადი ეკონომიკა და, განსაკუთრებით, მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენა.

3. ჩეხური კომპანია “ენერგო პრო“-ს გამოჩენა ქართულ ენერგობაზარზე და მისი გამარჯვება “მზაკვრულ” ტენდერში.

გასარკვევია, რას წარმოადგენს “ენერგო პრო”, სად და როდის დაფუძნდა, რა ფინანსებს ფლობს, რა გაუკეთებია წარსულში და ა.შ., !!!

ევროკომისიის 2007 წლის ანგარიშიდან ვიგებთ, რომ 9 ენერგობიექტის შესყიდვაზე “ენერგო პრომ” საერთო ჯამში გადაიხადა 132 მლნ..აშშ. დოლარი ნაცვლად 317,42 მლნ.-აშშ. დოლარისა. ამასთან, განუზრახავს 285 მლნ..აშშ. დოლარის ინვენსტირება საქართველოს ენერგოსექტორში. უცნობია, თუ რატომ მოხდა ტენდერის პირობების შეცვლა, როგორია “ენერგო პრო”-ს ინვენსტიციების რეალიზაციის სქემა?

ჩეხური კომპანია “ენერგო პრო” საქართველოს ენერგოსექტორში ჩადებულ ინვენსტიციებს ამოიღებს 3,7 წელიწადში. რაც უპრეცედენტო შემთხვევაა ენერგეტიკის ისტორიაში. ენერგობიექტების ამონაგების სავარაუდო ვადა შეადგენს საშუალოდ 7 დან 30 წელს და დამოკიდებულია ენერგობიექტის სიმძლავრეზე და ელექტროენერჯის გაყიდვების ბაზრის ფინანსურ შესაძლებლობაზე.

4. “მზაკვრული” ჩანაფიქრის რეალიზაციისთვის ხელშეწყობის მიზნით საკანონმდებლო ბაზის “სრულყოფა”.

ენერგეტიკის სამინისტროს მხრიდან საქართველოს «ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ» კანონში შეტანილმა ცვლილებებმა (მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს) მნიშვნელოვნად გაუმაგრა “ენერგო პროს” და სს “თელასს” სამართლებრივი ბაზა.

ენერგეტიკის მინისტრების ბატონების ნ. გილაურის და ა. ხეთაგურის მიერ წლების განმავლობაში “ენერგო-ეფექტურობის კანონის” დაბლოკვამ, ენერგეტიკის ძირითად კანონში “ენერგეტიკის მონიტორინგის” და “ენერგო-დაზოგვის” ლიცენზიატების, ხოლო ტარიფის დადგენის მეთოდოლოგიაში “ენერგოდაზოგვის, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესების და გარემოს დაცვის

კომპონენტის” გაუთვალისწინებლობამ, მნიშვნელოვნად დააზარალა ქვეყნის ეკონომიკა, მომხმარებელი, გარემო და თვით ენერგოსექტორი.

5. მომხმარებელზე “ზრუნვის” მოტივით მთავრობა ელექტროენერჯის ტარიფის სტაბილიზაციას 3-4 წლით ახანგრძლივებს..

საექსპერტო შეფასებით ქვეყანაში ენერგოდაზოგვის ტექნოლოგიების დანერგვით, მომხმარებლის კომფორტის გაძლიერებით ყოველწლიურად იზოგება 120-130 მლნ.-კვტ.სთ ელექტროენერჯია. გარდა აღნიშნულისა, ბოლო პერიოდში, დისტრიბუციის სფეროში მნიშვნელოვნად შემცირდა ტექნიკური და კომერციული დანაკარგები, რამაც ასევე მნიშვნელოვნად დაზოგა ელექტროენერჯია. დღეს სადისტრიბუციო კომპანიები დანაკარგების ღირებულებას დებენ ელექტროენერჯის განაწილების ტარიფში, რაც მძიმე ტვირთად აწვება მომხმარებელს. ასე, 2006 წელს “რაო თელასის” ჯამურმა დანაკარგებმა შეადგინა 587 მლნ.კვტ.სთ, რაც მთელი მოხმარებული ელექტროენერჯის 29%-ს შეადგენს. 2008 წელს კერძო სექტორში დაბალი ძაბვის სპეციალური კაბელების გაყვანით, კერძო ოჯახების გამრიცხველიანობითა და სხვა ღონისძიებებით, სს “თელასმა” დაზოგა 245 მლნ.კვტ.სთ ელექტროენერჯია. ანალოგიური სურათი იყო საქართველოს რეგიონებში. უდავოა, რომ დაზოგილი ელექტროენერჯია უნდა ასახულიყო ელექტროენერჯის ტარიფის შესაბამის კრებსით მდგენელში, რითაც უნდა შემცირებულიყო სამომხმარებლო ტარიფის სიდიდე.

მომხმარებლისათვის ტარიფის მუდმივი სიდიდის შენარჩუნების პირობებში ტარიფში შექმნილი “ლოფტი” შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო “ენერგოდაზოგვის, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესების და გარემოს დაცვის” პროექტის დასაფინანსებლად. ამ პროექტის რეალიზაციის შემთხვევაში მომხმარებელი მნიშვნელოვნად დაზოგავდა თავის ბიუჯეტს, რომ არაფერი ვთქვათ ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების განმტკიცებაზე, გარემოს დაცვაზე და სხვა. დღეს მომხმარებელზე და ქვეყანაზე “ზრუნვა” მთავრობა ახანგრძლივებს ტარიფის “სტაბილიზაციის” პერიოდს. რა კვალიფიკაცია უნდა მიეცეს ამ ყოველივეს?!

6. სემეკის და მომხმარებლის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის ქუთაისში გადატანა.

მთავრობამ თავის წინხის ქვეშ მყოფ სემეკს, მომხმარებლის უფლებების უხეში დარღვევით რამდენჯერმე გააზრდევინა ელექტროენერჯის ტარიფი.

დასავლეთ საქართველოს მომავალზე “ზრუნვის” მოტივაციით, მთავრობამ სემეკი გადაიტანა ქუთაისში . “მავრმა გააკეთა თავისი საქმე, მავრი უნდა წავიდეს”. ამით მთავრობამ განარიდა სემეკი ოპონენტებს, ენერგეტიკაში მოღვაწე მეცნიერებს, სპეციალისტებს, საქმეში ჩახედულ და მისი არაობიექტური გადაწყვეტილებებით უკმაყოფილო მომხმარებლებს. ხალხში ამბობენ “მთავრობამ სემეკი მთლად ვერ გაიმეტა და “აგარაკზე” გააგზავნა დასასვენებლად”. სემეკის თავმჯდომარე ბატონი ა. თავაძეზეც იზრუნეს. ის რუსულ კომპანიაში მოაწყვეს მაღალანაზღაურებად თანამდებობაზე. (რეპლიკა: საინტერესოა, როგორ პოულობენ გადამდგარი ენერგეტიკის მინისტრი და სემეკის კომისიის წევრები სამსახურს რუსულ კომპანიებში?. ალბათ მათ “დაიმსახურეს” ეს.

რაც შეეხება სემეკს და მომხმარებლის უფლებათა დაცვის დეპარტამენტს.

ვის უნდა აწყობდეს უფლებაშეზღუდული, პრაქტიკულად დამოუკიდებელი, არაკომპენტენტური და არაპრო-ფესიონალი კომისიის წევრებით დაკომპლექტებული “საქართველოს ენერგეტიკის მარეგულაჟირი კომისია” და ფიქტიური, არაფრის მაქნისი “მომხმარებლის უფლებების დამცველი”, რომლის არსებობა არ იცის მოსახლეობის 95%-მა? ნათქვამია “ყველა გზა რომში მიდისო”.

მოკლედ ასეთია ბოლო პერიოდში საქართველოს ელექტროენერგეტიკის სექტორში მიღწეული “წარმატებების” ანატომია.

## ნაწილი 2

### 1. ელექტროენერგეტიკის სექტორში პროგრესული რეფორმა უნდა გატარდეს

ქვეყანაში მომწიფდა ყველა პირობა, რათა ენერგოსექტორში გატარდეს პროგრესული, შორეულ პერსპექტივაზე გათვლილი პროგრესული რეფორმა.

პროგრესული რეფორმის გატარების აუცილებლობის მოტივაციაა:

- საქართველოს ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი 80 მლრდ.კვტ.სთ-ით არის შეფასებული. აქედან ტექნიკურად და ეკონომიკურად გამართლებული პოტენციალი 40 მლრდ.კვტ.სთ-ს შეადგენს. დღეისათვის ათვისებულია მხოლოდ 18%.

- ელექტროენერჯის გამომუშავება-მოხმარების მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით, ცივილიზაციის დონის ერთ-ერთი განმსაზღვრელი მაჩვენებელია. საბჭოთა პერიოდში საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული ელექტროენერჯია 3800 კვტ.სთ-ს შეადგენდა. დღეს საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე წელელიწადში იწარმოება 1850 კვტ.სთ ელექტროენერჯია. შედარებისთვის: ესტონეთში ერთ სულ მოსახლეზე ელექტროენერჯის გამომუშავება 5226 კვტ.სთ-ა, ჩეხეთში - 6070, ავსტრიაში - 10642, ფინეთში - 16426, კანადაში - 17290 კვტ.სთ და ა.შ.

- საქართველოს ეკონომიკის, საყოფაცხოვრებო, კომუნალური, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, დასვენების, კულტურის, ტურიზმის და სხვა სექტორების განვითარება, საშუალოდ განვითარებულ ევროპულ ქვეყნის დონემდე მიღწევისათვის მოითხოვს ელექტროენერჯის მოხმარების (2,5--3) - ჯერ გაზრდას.

საქართველოს ეკონომიკის ენერგოტევადობა მოწინავე ინდუსტრიულ ქვეყნებთან შედარებით 3-3,5 -ჯერ უფრო მაღალია, რაც უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკაზე. ეს უმნიშვნელოვანესი მაკროეკონომიკური პარამეტრი საექსპერტო შეფასებით უცხოეთის ქვეყნებში სამომავლოდ უფრო გაუმჯობესდება, ხოლო საქართველოს ჩამორჩენა 2020 წლისთვის უფრო გაიზრდება.

ქვეყანაში ელექტროენერგეტიკის განვითარების აუცილებლობის მოტივაციას აძლიერებს ასევე საქართველოს ადგილობრივ და უცხოურ ბაზარზე ელექტროენერჯის მოთხოვნილების მკვეთრი ზრდა. ელექტროენერჯის ექსპორტის გაზრდით შესაძლებელია საქართველოს ბიუჯეტის შემოსავლების მნიშვნელოვანი გაზრდა.

ელექტროენერგეტიკის სექტორის ახალი პროგრესული რეფორმა უნდა შეიცავდეს დროში და სივრცეში ოპტიმალურად განაწილებულ, მეცნიერულად დასაბუთებულ ღონისძიებებს. რეფორმამ ხელი უნდა შეუწყოს «ევროკავშირის სამეზობლო

პოლიტიკის» პროგრამის განხორციელებას საერთაშორისო ენერგოუსაფრთხოების განმტკიცების საქმეში.

ახალი რეფორმა უნდა ეფუძნებოდეს:

ა). მეცნიერულად დასაბუთებულ პროგრესულ ენერგოპოლიტიკას და ენერგეტიკის სექტორის განვითარების სტრატეგიას;

ბ). ენერგეტიკის სექტორის განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული შორეულ პერსპექტივაზე გათვლილ კონცეფციას;

გ). პროგრესულ საკანონმდებლო ბაზას;

დ). საქართველოს ეკონომიკის განვითარების სტრატეგიულ პროგრამას;

ე). გარემოს დაცვის საერთაშორისო მოთხოვნებს;

ე). სახელმწიფოს, ენერგოსექტორის და მომხმარებლის ინტერესების მაქსიმალურად შეჯერებას.

## **2. საქართველოს ელექტროენერგეტიკის განვითარების ძირითადი კონცეპტუალური ღონისძიებები**

ელექტროენერგეტიკის რეფორმამ ხელი უნდა შეუწყოს საქართველოს ენერგოუსაფრთხოების განმტკიცებას. დააკმაყოფილოს ეკონომიკის, საყოფაცხოვრებო, კომუნალური, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის, კულტურისა და სხვა ინფრასტრუქტურების მზარდი მოთხოვნები ელექტროენერგიაზე. მნიშვნელოვნად გაზარდოს ელექტროენერჯის ექსპორტი და ტრანზიტი, აღმოფხვრას კორუფცია ენერგოსექტორში, ხელი შეუწყოს მომხმარებლის უფლებების, ინტერესების და გარემოს დაცვას და სხვა.

ქვემოთ მოყვანილია ახალი რეფორმით გათვალისწინებული ძირითადი კონცეპტუალური ღონისძიებების ნუსხა შესაბამისი კომენტარებით.

### **2.1. ელექტროენერგეტიკის სექტორის რეორგანიზაცია.**

ელექტროენერგეტიკის სექტორის სტრუქტურა, ლიცენზიატების ფუნქციები, დაფინანსების წყაროები და მექანიზმები უნდა ეფუძნებოდეს ენერგეტიკის დარგის განვითარების პროგრესულ სტრატეგიას და ითვალისწინებდეს ევროკავშირის ენერგოპოლიტიკის მიზნებთან დაახლოებას.

ელექტროენერგეტიკის სექტორის ახალ სტრუქტურაში უნდა იყოს გათვალისწინებული ახალი ლიცენზიატები: “ენერგოდაზოგვის სამსახური”, “ენერგეტიკის მონიტორინგის სამსახური”, “ელექტროენერგეტიკის ცენტრი” და სხვა. ლიცენზიატების ფუნქციები, საქმიანობა და პასუხისმგებლობა უნდა ეფუძნებოდეს საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს და რეგულირდებოდეს სახელმწიფო კანონებით. ობიექტურად უნდა იყოს დადგენილი ელექტროენერჯის ტარიფში ლიცენზიატების კრებსითი მდგენელები, სამომხმარებლო ტარიფი და სხვა;



## **2.2 ენერგეტიკის სამინისტროს რეორგანიზაცია.**

უნდა დაჩქარდეს ენერგეტიკის სამინისტროს სტრუქტურული რეორგანიზაცია და მისი ფუნქციების სრულყოფა. სამინისტროში უნდა შეიქმნას “ენერგოდაზოგვის დეპარტამენტი”, “მცირე ენერგეტიკის განვითარების დეპარტამენტი”, “განახლებადი ელექტროენერჯების განვითარების სამმართველო”, “ენერგომატარებლებზე ტარიფების პოლიტიკის შემუშავებისა და ენერგომატარებლების ტარიფების მონიტორინგის სამმართველო”.

სამინისტრო უნდა დაკომპლექტდეს შემოქმედი და ინოვაციური გადაწყვეტილებების მიღების უნარის მქონე პროფესიონალი და პრინციპული ხელმძღვანელი კადრებით.

რეკვიზა: მინისტრის დრო არ უნდა იხარჯებოდეს მაღალი ძაბვის წაქცეული ბოძების და ბუნებრივი გაზის დაზიანებული მილების დათვალიერებაში და შესაბამისი დირექტივების ადგილზე გაცემაში.

## **2.3 საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა.**

*საქართველოს ენერგოსექტორში წლების მანძილზე ჭიანურდება სრულყოფილი კანონების, სტანდარტებისა და ნორმატიული დოკუმენტების დამუშავება-დანერგვის პროცესი..* საქართველოს “ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ” კანონი ბოლო წლებში შეტანილი დამატებებით და ცვლილებებით არსებითად არ განსხვავდება ძველისაგან. მასში არარის გათვალისწინებული ელექტროენერჯის წარმოების და გასაღების ბაზრის მასშტაბური გაზრდის ხელშეწყობა, ქვეყანაში არსებული რესურსების ეფექტურ გამოყენება, ენერგოსექტორში ჯანსაღი, კონკურენტული გარემოს შექმნა, ენერგოდაზოგვის და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების მასშტაბური დანერგვის ხელშეწყობა, მომხმარებლის უფლებების და ინტერესების დაცვის სრულყოფილ მექანიზმები, ტარიფის დადგენის მეთოდოლოგიის სრულყოფა და სხვა. დღეს მოქმედი ენერგეტიკის ძირითადი კანონი არაპროგრესულია და გუშინდელ დღეზე არის ორიენტირებული.

ახალი რეფორმის უპირველესი ამოცანაა:

- “საქართველოს ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ” კანონის სრულყოფა;

- “მცირე ჰესების შესახებ” კანონის მიღება;

- “ენერგოდაზოგვის და ენერგოეფექტურობის შესახებ” კანონის მიღება;

- საქართველოს “საგადასახადო კოდექსში” მცირე ენერგეტიკაზე და ენერგოდამზოგ ტექნოლოგიებზე, მოწყობილობებზე და აპარატებზე საგადასახადო შეღავათების დაწესება;

- სახელმწიფო სტანდარტებისა და ნორმატიული დოკუმენტების დამუშავება-დანერგვა.

## **2.4 სემეკის სრულყოფა.**

სემეკის სტრუქტურა, ფუნქციები და კომისიის წევრების კონნმპეტენტურობა, პროფესიონალიზმი, ინოვაციური გადაწყვეტილების მიღების უუნარობა და ა.შ. ვერ უზრუნველყოფს ენერგორესურსების ეფექტურ მართვას, ლიცენზიატებს შორის სადავო საკითხების მოგვარების ობიექტურობას, ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზის და სასმელი წყლის წარმოებისა და მომხმარებელზე მიწოდების პროცესების ტარიფების დადგენის ობიექტურობას, მომხმარებლის უფლებების და ინტერესების დაცვას და სხვა.

სემეკი დღეს ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფოს, ლიცენზიატების და მომხმარებლის ინტერესების შეჯერებას და შესაბამისად, ობიექტური გადაწყვეტილებების მიღებას;

საქართველოს “დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ” კანონით სემეკი-ს საქმიანობის კონტროლის დაუშვებლობა ქმნის ყველა პირობას დამკვიდრდეს ამ ორგანიზაციაში განუკითხაობა და ანარქია, ხელი შეეწყოს ენერგოსექტორში არაობიექტურ და არაკანონიერ გადაწყვეტილებების მიღება-რეალიზაციას, ფინანსების არაეფექტურ ხარჯვას და კორუფციის “წისქვილზე” წყლის დასხმას.

სემეკი უნდა დაბრუნდეს თბილისში და განახორციელდეს მისი ფუნდამენტალური რეორგანიზაცია.

ქვეყნის ენერგორესურსების (ნახშირი, ნავთობპროდუქტები, ბუნებრივი გაზი, ხეტყე, ცხოველური ნარჩენები, პირველადი ენერჯია, მეორადი ენერჯია და ელექტროენერჯია) ეფექტური და მობილური რეგულირების მიზნით საჭიროა სემეკი-ის ბაზაზე შეიქმნას “საქართველოს ენერგო-რესურსებისა და ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია” (სემეკ).

## **2.5 “მომხმარებლის ინტერესების დაცვის დეპარტამენტის” სრულყოფა.**

მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი დღეს სტატისტიკის ფუნქციებსაც ვერ ასრულებს სათანადო დონეზე, რომ არაფერი ვთქვათ სემეკის დადგენილებების ოპონირებაზე და მომხმარებლის უფლებების და ინტერესების დაცვაზე. ამ სამსახურმა რომ შეძლოს მომხმარებლის უფლებების რეალური და ობიექტური დაცვა, საჭიროა მისი სტრუქტურის და ფუნქციების სრულყოფა, მისი დაკომპლექტება პროფესიონალი და პრინციპული ხელმძღვანელი კადრებით. მომხმარებლის უფლებების დამცველი კარგად უნდა ერკვეოდეს ენერგეტიკის, ეკონომიკისა და სამართლის საკითხებში. ეს სამსახური არ უნდა ფინანსირდებოდეს სემეკი-ს ბიუჯეტიდან. მას უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი დაფინანსების წყარო.

## 2.6 “საქართველოს ელექტროენერგეტიკის ცენტრის” დაფუძნება

დიდია ქართველი ენერგეტიკოსების ღვაწლი საქართველოს ენერგეტიკის განვითარების საქმეში. ქართული ეროვნული ენერგეტიკული სკოლა, რომელიც ათეული წლების განმავლობაში ვითარდებოდა და სოლიდური ავტორიტეტით სარგებლობდა მსოფლიოში, გადაშენების გზაზეა. დღეს თითქმის მთლიანად მოშლილია ენერგეტიკის დარგის სამეცნიერო, საპროექტო-საძიებო დაწესებულებებისა და ეროვნული, მაღალპროფესიული კადრების მომზადების სისტემა, რაც საგანგებო ღონისძიებების გატარებისა და ამ საკითხების დროულად მოწესრიგების გარეშე მძიმედ აისახება საქართველოს ენერგეტიკის სამომავლო მდგომარეობაზე.

ენერგეტიკის სამინისტროს ინიციატივით და უშუალო ძალისხმევით უნდა მოხდეს “ენერგეტიკულ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის”, “ენერგოქსელპროექტის”, “საქჰიდროპროექტის”, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, სამთო ინსტიტუტის და სხვათა ბაზაზე მსოფლიო სტანდარტების დონის “საქართველოს ელექტროენერგეტიკის ცენტრის” დაფუძნება..

“საქართველოს ელექტროენერგეტიკის ცენტრის” დაფინანსება საწყის სტადიაზე მაინც უნდა განხორციელდეს ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზის და სხვა ენერგომატარებლების ტარიფებში გათვალისწინებული კრებსითი მდგენელებიდან მიღებულ სახსრებით.

ამ პრობლემის მიმართ ენერგეტიკის მინისტრის ბატონ ა. ხეთაგურის პოზიცია გამაოგნებელია. “რა საჭიროა კიდევ ერთი ზედმეტი სტრუქტურის შექმნა, როცა არსებობს ტექნიკური უნივერსიტეტი”. როგორც იტყვიან კომენტარები ზედმეტია.

## 2.7 უცხოელი ექსპერტების, საზღვარგარეთიდან მიღებული დახმარების ფონდებისა და გრანტების რაციონალური და ეფექტური გამოყენება;

დროა გაუმჯობესდეს საქართველოში “USAID” ექსპერტების და მისი კონტრაქტორების “PA CONSULTING”, “Winrok Georgia” და სხვათა შემოქმედებითი და პროფესიონალური დონე. უნდა გაიზარდოს საზღვარგარეთიდან მიღებული დახმარების ფონდებისა და გრანტების სამარლიანი განაწილება და მათი რაციონალური და ეფექტური გამოყენება ენერგეტიკის სექტორში. დროა ამ სახსრებზე დაწესდეს მონიტორინგი!

## 2.8 საქართველოს რეგიონებში მოხმარებული ელექტროენერჯის აღრიცხვა-დარიცხვის ტექნოლოგიის და ენერგოგადასახადების ამოღების გაუმჯობესება.

საქართველოს რეგიონებში, კერძო ოჯახებისთვის ელექტროენერჯის აღრიცხვა კომუნალური მრიცხველებით და თითოეულ მათგანზე გადასახადის დარიცხვა

გასაშუალებების (საშუალო არითმეტიკული) მეთოდით არაობიექტურია. დღეს ქვეყნის უმეტეს ნაწილში “კეთილსინდისიერი” და “არაკეთილსინდისიერი” აბონენტი ჩაყენებულია თანაბარ პირობებში.

კომუნალურ მრიცხველზე აღრიცხული ელექტროენერჯის საფასურის სრულად არდაფარვის შემთხვევაში კერძო ოჯახებს ეთიშებათ ძაბვა საერთო ძალოვანი ქსელიდან. ამ უკანონო აქციას ეწირება “პატიოსანი” მომხმარებელი, რითაც ირღვევა მომხმარებლის უფლებები.

საქართველოს რეგიონებში კერძო ოჯახების გამრიცხველიანობა უნდა დამთავრდეს მაქსიმუმ 2 წელიწადში. გამრიცხველიანობისათვის საჭირო სახსები უნდა გაიღოს “ენერგო პრომ” დანაპირები საინვესტიციო ფონდიდან.

საქართველოს რეგიონებში მომხმარებლის გამრიცხველიანობა სრულად ვერ აღმოფრის ელექტროენერჯის დატაცებას. ამიტომ რეგიონებში უნდა დაიწყოს ელექტროენერჯის აღრიცხვა-დარიცხვის ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა.

## 2.9 მცირე ელექტროსადგურების მშენებლობის ტემპების გაზრდა.

საქართველოში 229 ათასი დიდი და პატარა მდინარეა. ამ მდინარეებზე შეიძლება აიგოს ჰიდროელექტროსადგურები.. ჰესები შეიძლება განლაგდეს ქვეყნის 47 რაიონში. აქედან 155 დასავლეთ საქართველოს 28 რაიონში და 73 აღმოსავლეთ საქართველოს 19 რაიონში.

მოყვანილი მონაცემები მიუთითებს იმაზე, რომ საქართველო ჰიდროენერგორესურსების ტიპური ქვეყანაა.

მცირე ენერგეტიკა შეიძლება განვიხილოთ, როგორც დიდი ენერგეტიკის ერთ-ერთი ალტერნატიული დარგი.

საქართველოში მცირე ჰესების მშენებლობის დაჩქარების მოტივაციაა:

- ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში, 10 მგტ-მდე სიმძლავრის ჰესების აშენებით, ყოველწლიურად შესაძლებელია 2,1 მლრდ.კვტსთ ელექტროენერჯის მიღება;

- სწრაფმშენებადობა;

- მცირე ჰესები შეიძლება აშენდეს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ერთდროულად, ვინაიდან ჰიდრორესურსები გეოგრაფიულად განლაგებულია ქვეყნის ყველა კუთხეში;

- ინვენსტიციების დაბალი მასშტაბები და ჩადებული კაპიტალის სწრაფი უკუგება, რაც ხელმისაწვდომს ხდის მას მცირე და საშუალო ბიზნესისთვის;

- ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების განმტკიცების დაჩქარება

- სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავებელი მრეწველობის განვითარების ხელშეწყობა;

- ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა;

- ელექტროენერჯის ექსპორტის გაზრდა და სხვა.

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ წლობის განმავლობაში ვერ გაართვა თავი “მცირე ენერგეტიკის განვითარების” სრულფასოვანი კონცეფციის დამუშავებას. ‘მცირე ენერგეტიკაზე’ კანონის მიღებას და ა.შ.

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2008 წლის 23 აპრილის №46 ბრძანება “საქართველოში განახლებადი ენერჯის პოტენციური წყაროების ნუსხაში შემავალი ელექტროსადგურების მშენებლობის, ოპერირების და ფლობის შესახებ ინტერესთა გამოხატვის თაობაზე”, თავისი დანართით “საქართველოში განახლებადი ენერჯის პოტენციური წყაროების ნუსხა” მეცნიერულად დაუსაბუთებელია და ფაქტიურად “ნახევარფაბრიკატს” წარმოადგენს. აღნიშნული სახით მისი განხორციელება კიდევ უფრო დაამუხრუჭებს ინვენსტიციების მოზიდვას და ელექტროენერგეტიკის სექტორის განვითარებას.

№46 ბრძანების არასრულყოფაზე და უპერსპექტივობაზე მეტყველებს:

ა) დანართში შემავალი ჰესების აშენების წერტილების შერჩევა. ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის დადგენა (წყლის საანგარიშო ხარჯი, დაწნევა, დერივაციის სიგრძე და სხვა) და შესაბამისად ჰესების საპროექტო სიმძლავრეების და გამომუშავებული ელექტროენერჯის განსაზღვრა, ეფუძნება მდინარეთა უბნების ენერგეტიკული გამოყენების იმიტაციურ მოდელირებას. ეს უკანასკნელი კი ემყარება მკვლევარის ერუდიციას და გამოცდილებას, რაც არ არის საკმარისი პირობა მდინარეებზე, ოპტიმალური წერტილების დასადგენად. მდინარეების შერჩევა და მდინარეებზე ჰესების აშენების ოპტიმალური წერტილების დადგენა, უნდა განხორციელდეს, მეცნიერულად დასაბუთებულ მეთოდოლოგიის და კრიტერიუმების საფუძველზე.

ბ) მცირე ჰესების ოპტიმალური წერტილების დადგენას წინ უნდა უსწრებდეს მათზე გენერირებული სიმძლავრეების ენერჯის სტემაში ჩართვის შესაძლებლობების შესწავლა-შეფასება, მიმდებარე ტერიტორიებზე ეკონომიკური დარგების ინფრასტრუქტურის განვითარების და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პოტენციალის გათვალისწინება დინამიკაში, უცხოეთის ბაზარზე გასაყიდი ელექტროენერჯის პოტენციალის დადგენა, ეკოლოგიაზე გავლენის გამოკვლევა და სხვა;

გ) საქართველოს ჰიდროენერგეტიკული რესურსების და განახლებადი ენერჯის წყაროების პასპორტიზაციის, მათი ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასების და ამ მონაცემთა ბაზის სისტემატიზაციის გარეშე შეუძლებელია ქვეყანაში არსებული ენერჯორესურსების ეფექტური გამოყენება.

ბიზნეს-გეგმების დამუშავებისთვის საჭირო საწყის მონაცემთა ბაზის არარსებობა, მნიშვნელოვნად ამუხრუჭებს ინვენსტიციების მოზიდვის მასშტაბებს.

დ). “საქართველოს მცირე ენერგეტიკის შესახებ” კანონის დამუშავება-დანერგვის გაჭიანურება;

მცირე ენერგეტიკაში საგადასახადო შეღავათების გათვალისწინების, ელექტროენერჯის გასაღების გარანტიების უზრუნველყოფის, მონოპოლიისაგან და რისკ-ფაქტორებისგან დაცვის მექანიზმების შემოღების, მეცნიერულად დასაბუთებული სატარიფო პოლიტიკის და ტარიფის სიდიდის დადგენის სრულყოფილი მეთოდოლოგიის დანერგვის გარეშე ვერ განხორციელდება ქვეყანაში ჰიდროენერჯორესურსების დროული და მასშტაბური ათვისება;

## **2.10 ენერგობიექტების ობიექტური და ეფექტური პრივატიზაციის განხორციელება.**

“ეი ეს თელასის”, „ენერგო პრო“-ს, “თბილგაზის” „თბილ-წყალის” და სხვათა “ზურუსით” მოცული დაფუძნების მაგალითები ცხადყოფს, რომ დროა ქვეყანაში დაიწყოს საპრივატიზაციო ობიექტების სისტემური (ინტეგრალური) შეფასება, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და ქვეყნის ენარგოუსაფრთხოების განმსაზღვრელი ფაქტორების გათვალისწინებით. ამისათვის საჭიროა დამუშავდეს ენერგობიექტების სისტემური შეფასების მოდელი, რომელიც მოგვცემს საშუალებას დადგინდეს:

- საპრივატიზაციო ობიექტების რეალური სასტარტო ფასი;
  - საპრივატიზაციო ობიექტების ეკონომიკური ეფექტურობის მაჩვენებლები დინამიკაში (დროის სხვადასხვა მონაკვეთში, ენერგობიექტის რესურსის პერიოდში);
- აღნიშნული მოდელი მოგვცემს საშუალებას განვსაზღვროთ, რა იქნება ქვეყნისა და ხალხისთვის უფრო მომგებიანი, სახელმწიფო (სახალხო) ობიექტების გაყიდვა ადგილობრივ, თუ უცხოელ მეპატრონეზე, თუ მათი სააქციო საზოგადოებებად ჩამოყალიბება, თუ სახელმწიფო საკუთრებაში დატოვება.

ობიექტების სისტემური შეფასების მოდელი, ხელს შეუწყობს ენერგოსექტორში სააქციო საზოგადოებების შექმნას

*დროა, შეწყდეს საქართველოში ბატ. კ. ბენდუქიძის პირად მოსაზრებებზე, მხედულებებზე და იტერესებზე დაყრდნობით ობიექტების “პრივატიზაცია” (“ბენდუქიზაცია”) !!!*

## **2.11 კორუფციასთან უკომპრომისო ბრძოლის გაძლიერება.**

“ენერგეტიკის მონიტორინგის სამსახურის” დაფუძნება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს:

- საქართველოს ენერგოპოლიტიკის და ენერგეტიკის განვითარების სტრატეგიის დამუშავებაში;
- ენერგოსექტორის საკანონმდებლო ბაზის სრულყოფაში;
- ენერგოსექტორში არსებული ენერგეტიკული, მატერიალური, ფინანსური, შრომითი, ინტელექტუალური რესურსების სწორ და ეფექტურ გამოყენებაში;
- ენერგოსექტორში ნეგატიური მოვლენების, პირველ რიგში კორუფციის აღმოფხვრაში;
- ენერგობიექტების პრივატიზების პროცესების ობიექტურად ჩატარებაში;
- სახელმწიფოს, ენერგოსექტორისა და მომხმარებლის ინტერესების მაქსიმალურად შეჯერებაში;

“მონიტორინგის სამსახურის” ძირითადი ამოცანები იქნება ელექტროენერჯის საბითუმო ყიდვა-გაყიდვის, ელექტრო-ენერჯის, ბუნებრივი გაზის და სასმელი წყლის ტექნიკური და კომერციული დანაკარგების, ენერგომატარებლების წარმოება-მომხმარების წლიური ბალანსის და მათი ტარიფების მონიტორინგი.

საწყის ეტაპზე, საჭიროა სახელმწიფოს, “მსოფლიო ბანკის”, “USAID”-ის, ევროკავშირის და სხვათა ხელშეწყობით მოხდეს “ენერგეტიკის მონიტორინგის ასოციაციის” დაფუძნება.

### **2.12 ენერგოქსელში კომერციული და ტექნიკური დანაკარგების შემცირების ღონისძიებების და კონტროლის მექანიზმების დამუშავება-დანერგვა.**

დიდია ქვეყანაში ელექტროენერჯის კომერციული და ტექნიკური დანაკარგები. დანაკარგებს სადისტრიბუციო კომპანიები დებენ ენერგომატარებლების განაწილების ტარიფებში. ასე მაგ. 2006 წელს თბილისში ელექტროენერჯის წლიურმა ჯამურმა დანაკარგებმა შეადგინა 587 მლნ.კვტ.სთ (მთლიანი დისტრიბუციის 29%), ხოლო ბუნებრივი გაზის დისტრიბუციის სფეროში დანაკარგებმა 87,3 მლნ.მ<sup>3</sup> (მთლიანი დისტრიბუციის 23%). 2006 წელს სემეკმა ყოველგვარი დასაბუთების გარეშე 0,05 თეთრი/კვტ.სთ-ით გაზარდა ტექნიკური დანაკარგები ტარიფში, რამაც, ყოველწლიურად სულ მცირე 5 მლნ.ლარით დააზარალა მომხმარებელი.

აღნიშნულის გათვალისწინებით უდავოა, რომ ენერგოქსელში უნდა განხორციელდეს კომერციული და ტექნიკური დანაკარგების შემცირების და მათი კონტროლის მექანიზმების დამუშავება-დანერგვა.

### **2.13 “ენერგოდაზოგვის სამსახურის” დაფუძნება.**

ევროკავშირის მიერ მიღებულ “მწვანე დოკუმენტში” ყურადღება გამახვილებულია სამ პრობლემაზე: ევროპის ქვეყნების ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით, კიოტოს ოქმის შესრულება გარემოს დაცვის საქმეში და ენერგოუსაფრთხოების ამაღლება. აღნიშნული დოკუმენტი, პრიორიტეტებს შორის გამოყოფს ენერგოეფექტიანობას საერთაშორისო დონეზე, განსაკუთრებით, ევროკავშირის გეოპოლიტიკური იტერესების სფეროში შემავალი ქვეყნებისათვის. ამას ადასტურებს საქართველოს ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში ჩართვა.

მსოფლიო ენერგეტიკის დღევანდელი გამოცდილება ცხადყოფს, რომ ენერგოდაზოგ ტექნოლოგიებზე გადასვლა ეკონომიკურად ბევრად უფრო რენტაბელურია, ვიდრე ახალი ენერგოწყაროების შექმნა.

ენერგოდაზოგვის სამსახურის დაფუძნება დააჩქარებს ქვეყანაში ენერგოდაზოგვის პოლიტიკის და სტრატეგიის დამუშავებას, ენერგოდაზოგვის საკანონმდებლო ბაზის შექმნას და ენერგოდაზოგვის ტექნოლოგიების მასშტაბურ რეალიზაციას. აღნიშნული სამსახურის ფუნქციონირებით შესაძლებელი გახდება, მომხმარებლის კომფორტის უცვლელ და მეტწილად გაუმჯობესებულ პირობებში ქვეყანის მასშტაბით 1000-1200 მლნ.კვტ.სთ. ელექტროენერჯის დაზოგვა ყოველწლიურად. პიკის საათებში 400-450 მგვტ-ით სიმძლავრის დეფიციტის შემცირება და სხვა. ამ სამსახურს შეუძლია იაფად და მოკლე დროში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების განმტკიცებაში, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებაში, გარემოს დაბინძურების შემცირებაში და სხვა.

თბილისში ენერგოდამზოვი ღონისძიებების გატარებით ყოველწლიურად შესაძლებელია ენერგორესურსების მნიშვნელოვანი დაზოგვა, მათ შორის: ელექტროენერჯის – 430,4 მლნ.კვტ.სთ-ით, ბუნებრივი გაზის – 64 მლნ.მ<sup>3</sup>, ავტომობილის საწვავის – 13 მლნ.ლიტრით. საერთო ჯამში შესაძლებელია მომხმარებლების ბიუჯეტის დაზოგვა – 200 მლნ.ლარით წელიწადში.

“ენერგოდაზოგვის სამსახურს” დაფუძნებისთანავე შეუძლია შეუდგეს შპს “როტორ-ლაითის” და “საქართველოს მცირე, მიკრო და მინი ჰიდროელექტროსადგურების ასოციაციის” მიერ 2000-2007 წ.წ. დამუშავებული ენერგოდაზოგვის პროექტების პაკეტის რეალიზაციას, მათ შორის:.

1. “ქ. თბილისის ელექტროენერჯით მომარაგებისა და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება” (თვითდაფინანსებადი პროექტი);
2. “ქ. თბილისში ელექტროენერჯის მომარაგების გაუმჯობესება და საბიუჯეტო ორგანიზაციებში სახსრების დაზოგვა” (თვითდაფინანსებადი პროექტი);
3. “ელექტროენერჯის დაზოგვა და უმწიეო მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება”;
4. “ენერგოდაზოგვა და მოსახლეობისათვის ელექტროენერჯის ტარიფის კომპენსაცია”.
5. “ენერგოდაზოგვა და გარემოს დაცვა” (თვითდაფინანსებადი პროექტი);

თვითდაფინანსებად პროექტებს საფუძვლად უდევს ინოვაციური მიდგომა – ენერგოდამზოვი (ფლუორესცენტური) ნათურები არა მარტო ანათებენ, არამედ ირიბად დაბალ ტარიფიან სიმძლავრის (ელექტროენერჯის) “წყაროს” წარმოადგენენ.

პროექტით «ქ. თბილისის ელექტროენერჯით მომარაგებისა და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება», გათვალისწინებულია თბილისში 1,1 მლნ. ცალი 15000 საათიანი რესურსის მქონე ენერგოდამზოვი ნათურის დანერგვა 2 წლიანი საგარანტიო მომსახურებით. 350 ათას ოჯახს უსასყიდლოდ გადაეცემა 21-24 ლარის ღირებულების ორ-ორი ცალი ენერგოდამზოვი ნათურა.

შთამბეჭდავია პროექტის რეალიზაციით მოსალოდნელი ეფექტი:

- ა) ქვეყანაში ყოველწლიურად დაიზოგება 240 მლნ.კვტ.სთ ელექტროენერჯია;
  - ბ) ენერგოქსელში პიკის საათებში 90 მგვტ-ით შემცირდება სიმძლავრის დეფიციტი;
  - გ) 170 მლნ. ლარით დაიზოგება მომხმარებლის ბიუჯეტი, მათ შორის მოსახლეობის – 120 მლნ.ლარით. თითოეული ოჯახი 6 წლის განმავლობაში ყოველთვიურად დაზოგავს 5,4 ლარს. რაც გარკვეულ წვლილს შეიტანს საქართველოში სიღარიბის დაძლევის პრობლემის გადაწყვეტაში;
  - დ) 21 მლნ.აშშ დოლარით შემცირდება ელექტროენერჯის და ბუნებრივი გაზის იმპორტი ქვეყანაში და შესაბამისად შემცირდება საქართველოდან ვალუტის გადინება;
  - ე) ხელი შეეწყობა ელექტროენერჯის სამომხმარებლო ტარიფის სტაბილიზაცია-შემცირებას;
  - ვ) 0,93 მლნ.ტონით შემცირდება ატმოსფეროში CO<sub>2</sub>-ის ემისია;
  - ზ) ხელი შეეწყობა ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების განმტკიცებას;
- ენერგოდაზოგვის პროექტების დაფინანსება შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგი წყაროებიდან:



ა) პროექტების რეალიზაციით ელექტროენერჯის წლიურ ბალანსში მცირდება იმპორტირებული ან/და თბოელექტრო-სადგურზე გამომუშავებული ძვირადღირებული ელექტროენერჯის წილი, შესაბამისად, წარმოების შეწონილ ტარიფის კრებსით მაჩვენებელში შეიქმნება რეზერვი. სამომხმარებლო ტარიფის სიდიდის შენარჩუნების შემთხვევაში, ენერგოსექტორში შესაძლებელი იქნება ტარიფში “მოპოვებული” რეზერვის შესაბამისი სახსრების აკუმულირება და მათი გამოყენება ენერგოდაზოგვის, გარემოს დაცვის და სოციალური პროგრამების დასაფინანსებლად;

ბ) საბიუჯეტო ორგანიზაციების სამეურნეო ხარჯების ფონდიდან, კერძოდ, პროექტის რეალიზაციის შედეგად, ელექტროენერჯის გადასახადებებზე დაზოგილი სახსრებით;

გ) სახელმწიფო სოციალური დახმარების ფონდით, სახელმწიფო სუბსიდიებით, უცხოეთიდან მიღებული გრატებით და სხვა;

დ) ელექტროენერჯის ტარიფების კრებსით მაჩვენებლებში, მათ შორის, სს “რაო-თელასი”-სა და “ენერგო პრო”-ს ტარიფებში ადვილად მოიძებნება 0.3-0,4 თეთრი/კვტ.სთ რეზერვი;

ე) სამომხმარებლო ტარიფის (0,3-0,4) თეთრი/კვტსთ გაზრდის შედეგად მიღებული სახსრებით.

პროექტები რეცენზირებისთვის გადაეცა დაინტერესებულ სამინისტროებს, შესაბამის სახელმწიფო და საქალაქო სამსახურებს, პარლამენტის ენერგეტიკის ქვეკომიტეტს, “თელასს” და ექსპერტებს. მათგან მიღებული დადებითი შეფასებები *საფუძვლად დაედო საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 26 აგვისტოს №1062 “საქართველოში ენერგოდაზოგვი ნათურების დანერგვისა და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების შესახებ” განკარგულებას.*

№1062 განკარგულების “ხორცმესხმა” წლების განმავლობაში იბლოკება ენერგეტიკის სამინისტროში. მისი რეალიზაციისათვის საჭიროა მთავრობის მიერ რიგი ორგანიზაციული, სამართლებრივი, ტექნიკური და ფინანსური საკითხების გადაწყვეტა. ასე მაგალითად ენერგომატარებლების ტარიფებში მოძიებული რეზერვების გამოყენებას, სჭირდება საქართველოს *“ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ” კანონში* ცვლილებების შეტანა. კერძოდ, ელექტროენერგეტიკის სექტორის სტრუქტურაში უნდა იყოს გათვალისწინებული “ენერგოდაზოგვის ლიცენზიატი”, ხოლო ტარიფის დადგენის მეთოდოლოგიაში “ენერგოდაზოგვის, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესების და გარემოს დაცვის კომპონენტი”.

№1062 განკარგულების *დაბლოკვის* მიზესთამიზეზი არის ენერგეტიკის მინისტრების მიერ, ენერგოსექტორის განვითარების ხელშეწყობა და მათი მონამორჩილება თავიანთი «პატრონებისადმი», რომლებსაც აქვთ თავიანთი ბიზნესი ენერგოსექტორში ან/და ლობირებენ ბაზრის ლიცენზიატებს.

აშშ-ის, კანადის, ავსტრალიის, დასავლეთ ევროპის, სამხრეთ აფრიკის, იაპონიის და სხვა ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, რომ ენერგოდაზოგვის, ენერგოეფექტურობის და სოციალური დახმარების პროგრამების რეალიზაციაში აქტიურად მონაწილეობენ მათი *მთავრობები*. ისინი ბრმად კი არ იზიარებენ საბაზრო ეკონომიკის ფილოსოფიას, არამედ აქტიურად მონაწილეობენ ქვეყნისა და ხალხისთვის მომგებიანი პროგრამების რეალიზაციაში.

ენერგოდაზოგვის ნათურების დანერგვის პროგრესულობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ აშშ-ის რამდენიმე შტატში მიიღეს კანონი, რომელიც კრძალავს 2010-2012 წწ. ტომას ალფა ედისონის მიერ გამოგონილი ტრადიციული ვარვარა ნათურების გაყიდვას. მაგალითად, კალიფორნიის შტატში მათი გაყიდვა აიკრძალა 2012 წლიდან. ანალოგიური კანონპროექტები მზადდება ჩრდილო კაროლინის, როდ-აილენდის და კონექტიკუტის შტატებში.

ვარვარა ნათურების გაყიდვა 2010 წლიდან აიკრძალა ავსტრალიაში, ხოლო 2012 წ. - კანადაში, ონტარიოს პროვინციაში. ასეთივე კანონპროექტები მზადდება დიდ ბრიტანეთში და სხვა მოწინავე ევროპულ ქვეყნებში.

საქართველოში 2000 წლიდან დღემდე საქართველოს მთავრობის მხრიდან თვითდაფინანსებადი პროექტების დაბლოკვამ რამდენიმე ასეული მილიონი ლარით დააზარალა ქვეყანის ეკონომიკა, მოსახლეობა და გარემო.

ვინ აგებს პასუხს ამ ყოველივეზე?.

## 2.14 უცხოეთში გამავალი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების მშენებლობის დაჩქარება.

საქართველოს გეოგრაფიული ადგილმდებარეობა ანიჭებს “გადაცემას” მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო მისიას. საქართველოს შეუძლია უახლოეს პერიოდში მნიშვნელოვნად გაზარდოს ელექტროენერჯის ექსპორტი და ტრანზიტი უცხოეთში. რუსეთი, აზერბაიჯანი და სომხეთი დაინტერესებულნი არიან აწარმოონ საქართველოს გავლით ელექტროენერჯის ტრანზიტი თურქეთში, ევროპასა და ირანში.

უცხოეთში გამავალი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების მშენებლობის დაჩქარების მოტივაციაა:

- ქვეყანაში არსებული ერთადერთი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზი “ბათუმი\_ხოვა”, რომლის გამტარიანობა 200 მგვტ-ს შეადგენს, ვერ აკმაყოფილებს საქართველოს და მისი მეზობლების მოთხოვნებს.

- ახალი ჰესების აშენება, ძველების რეაბილიტაცია და მათი გაყვანა ნომინალურ სიმძლავრეებზე, ენერგოდაზოგვის ტექნოლოგიების მასშტაბური რეალიზაცია, ტექნიკური და კომერციული დანაკარგების შემცირება გამოიწვევს ქვეყანაში ჭარბი ელექტროენერჯის წარმოებას. ეს უკანასკნელი დაარღვევს ქვეყნის ელექტროენერჯის წლიურ ბალანსს. ენერგოსექტორი იძულებული გახდება შეამციროს ელექტროენერჯის გამომუშავება. შესაბამისად ლიცენზიატებს შეუმცირდებათ შემოსავალი და შეექმნებათ ფინანსური პრობლემები. საბოლოო ჯამში, დამუხრუჭდება ელექტროენერჯეტიკის სექტორის განვითარება ქვეყანაში.

აღნიშნულიდან გამომდინარეობს უცხოეთში გამავალი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების მშენებლობის აუცილებლობა. გაუგებარია დღემდე რატომ ყოვნდება ჯერ კიდევ 2000 წელს დამუშავებული “გარდაბანი-ახალციხე-ყარსის” 500 კვ მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის პროექტის რეალიზაცია. ამ და ანალოგიური პროექტების დამუშავება – რეალიზაციას ანიჭებს ახალი რეფორმა პრიორიტეტს.

უცხოეთში გამავალი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების მშენებლობა ხელს შეუწყობს ქვეყანაში ელექტროენერჯეტიკის სექტორის განვითარებას, ენერგოდაზოგვის

პროგრამების რალიზაციას და საქართველოს ინტეგრაციას ევროკავშირის ენერგოსისტემაში, რაც მნიშვნელოვან პოლიტიკურ და ეკონომიკურ დივიდენდებს მოუტანს ქვეყანას.

### **2.15 ელექტროენერჯის ტარიფის პოლიტიკის და მისი სიდიდის დადგენის მეთოდოლოგიის სრულყოფა.**

საქართველოში შორ პერსპექტივაზე გათვლილი სატარიფო პოლიტიკა არარსებობს. ტარიფის სიდიდის დადგენის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი იყო და არის ენერგეტიკის სექტორის განვითარების, ენერგოსექტორში ინვესტიციების მოზიდვის, ენერგობიექტების პრივატიზაციის ხელშეწყობა და უცხოური ფირმების ფუნქციონირებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა.

სემეკი აღნიშნული მოტივაციით უკვე მერადმენედ ზრდის ელექტროენერჯის ტარიფს მომხმარებლის უფლებების უხეში დარღვევით.

საქართველოში ელექტროენერჯის ტარიფის პერმანენტულმა, უმეტეს შემთხვევაში ხელოვნურმა გაზრდამ 1994 წლიდან 2007 წლამდე, თბილისში 301%-ით, ხოლო რეგიონებში 260%-ით, მნიშვნელოვნად გაზარდა ქვეყნის ეკონომიკის ენერგოტევადობა. ამ უკანასკნელმა კი შეამცირა ეროვნული პროდუქციის კონკურენტუნარიანობა, როგორც შიდა, ისე უცხოურ ბაზარზე. დაამუხრუჭა ინვენსტიციების მოზიდვა ეკონომიკის სექტორში. მნიშვნელოვნად გაუარესა მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

2006 წლის 1 ივნისიდან სემეკის მიერ ელექტროენერჯის საცალო ტარიფი თბილისში განისაზღვრა 13,56, ხოლო რეგიონში 11,698 თეთრი/კვტსთ-ით დღგ გარეშე. მოსახლეობისათვის შემოღებულ იქნა დიფერენცირებული ტარიფი, თვეში მოხმარებული ელექტროენერჯის სამი საფეხურისთვის 0\_100; 101\_300 და 301 კვტსთ-ის ზევით. შესაბამისად, განისაზღვრა სამომხმარებლო ტარიფები: თბილისში 11,424, 13,56 და 14,998 ხოლო რეგიონებში 11,0, 14,0 და 14,83 თეთრი/კვტსთ-ის ოდენობით.

საფეხურიდან, საფეხურზე გადასვლის დროს, ტარიფის ნახტომისებური ზრდა, არაობიექტურად ისახება მომხმარებელზე. თბილისში 100 კვტსთ მოხმარებულ ელექტროენერჯიაზე ტარიფი 11,424 თეთრი/კვტსთ-ია. 1 კვტსთ-ით ელექტროენერჯის ხარჯის გაზრდის შემთხვევაში აბონენტის ტარიფი 2,14 თეთრი/კვტსთ-ით იზრდება. მეორედან მესამე საფეხურზე გადასვლის დროს კი - 1,44 თეთრი/კვტსთ.-ით.

სამომხმარებლო ტარიფის დადგენის არსებული მოდელის მანკიერებაზე მეტყველებს ასევე ის ფაქტი, რომ არაკეთილსინდისიერ “ინკასატორს” ეძლევა საშუალება ელექტროენერჯის აღრიცხვის ბარათებზე მეტობით ან ნაკლებობით, დააფიქსიროს მოხმარებული ელექტროენერჯის მოცულობა, ამით მომხმარებელი გადაიყვანოს მისთვის სასურველ საფეხურზე. პირველ შემთხვევაში აბონენტი აღმოჩნდება უფრო მაღალ საფეხურზე და მისი ბიუჯეტი დაზარალდება სულ, მცირე (1,44 ან 2,14) ლარით/თვეში, გამანაწილებელი კომპანიის სასარგებლოდ. მეორე შემთხვევაში იქმნება ყველა პირობა აბონენტსა და “ინკასატორს” შორის შედგეს კორუფციული გარიგება.

ტარიფის დადგენის არსებულ მოდელში ასევე დაშვებულია პრინციპული შეცდომები:

1. ტარიფის დადგენის არსებული მეთოდოლოგიით ენერგოსექტორი არ არის გარანტირებული მიიღოს მომსახურების ხარჯების სრული ანაზღაურება. დავუშვათ, რომ მეორე საფეხურის (101\_ 300)კვტ.სთ მომხმარებლების გარკვეული ნაწილი (შესაძლებელია ნახევარიც კი) ფოსმაჟორული სიტუაციის, ელექტროენერჯის მოხმარების შემცირების, ელექტროენერჯის დაზოგვის, ენერგოქსელში ავარიების გამო ძაბვის გათიშვების და სხვა მიზეზით, აღმოჩნდნენ პირველ (0 \_100) კვტსთ საფეხურზე, ხოლო მესამე საფეხურის მომხმარებლები აღმოჩნდნენ, მეორე საფეხურზე. ვინაიდან პირველი საფეხურის შინამეურნეებისათვის სამომხმარებლო ტარიფი, საცალო ტარიფზე ნაკლებია: თბილისში \_ 2,14 თეთრი/კვტსთ-ით, ხოლო რეგიონებში - 3 თეთრი/კვტსთ-ით. და ა.შ. ამიტომ ენერგოსექტორს მოუწევს რეალურ (საცალო) ფასსზე ნაკლებად გაყიდოს ელექტროენერჯია და ბუნებრივია, ვერ მიიღებს მომხმარებელზე მიწოდებული ელექტროენერჯის საფასურს და დაზარალდება.

ელექტროენერჯის წარმოების შემცირება კრიტიკულ ზღვარს დაბლა, უარყოფითად აისახება ენერგოსექტორზე, ვინაიდან ის ვერ დაფარავს გადაუდებელ მუდმივ ხარჯებს. ვინ გადაუხდის ენერგოსექტორის ლიცენზიატებს თავის კუთვნილ წილს?.

2. დღეს ენერგოსექტორის მომსახურების დანახარჯებს (მუდმივი+ცვლადი ხარჯები) მომხმარებელი იხდის საშუალო შეწონილი ტარიფისა და მიწოდებული ელექტროენერჯის მოცულობის ნამრავლით. რაც არაობიექტურია, შემდეგი მოტივაციით:

საექსპერტო შეფასებით დადგენილია, რომ მოსახლეობაში ელექტროენერჯის რეალურ და პოტენციურ მოხმარებას შორის სხვაობა 15-18%-ს შეადგენს. ამის მიზეზია დაკეტილი ბინები, გაჩერებული წარმოება-დაწესებულებები, სოციალურად დაუცველი შინამეურნეების მიერ ელექტროენერჯის იძულებითი ეკონომია, ენერგოდამზოგი ტექნოლოგიების დანერგვა და სხვა. უდავოა, რომ პოტენციურ მომხმარებელზე გაწეულ მომსახურების მუდმივ ხარჯებს, მათ შორის უკვე რეალიზირებულ ხარჯებს (ამორტიზაციის თანხა, ფონდებზე ამონაგების თანხა, სარეზერვო სიმძლავრის შენახვის ხარჯები, სემეკი-ისთვის გადასახდელი რეგულირების საფასური და სხვა) ინაწილებენ ფაქტიური მომხმარებლები, დახარჯული ელექტროენერჯის პროპორციულად. უდავოა, რომ ამ კატეგორიის აბონენტებისათვის ტარიფი გაზრდილია და უხეშად ირღვევა მათი უფლებები. საქართველოს “ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ” კანონის 43-ე მუხლის ზ) პუნქტის თანახმად “დაუშვებელია მომხმარებელთა რომელიმე კატეგორიის სატარიფო შეღავათების სუბსიდირება ლიცენზიატის, იმპორტიორის, სისტემის კომერციული ოპერატორის, მიმწოდებლის ან მომხმარებელთა სხვა კატეგორიის ხარჯზე”.

სემეკის მიერ დამუშავებულმა ტარიფის მოდელმა, ვერ შეძლო რეალურად აესახა ქვეყანაში არსებულ მძიმე სოციალურ მდგომარეობა. საფეხურიანმა სამომხმარებლო ტარიფმა ვერ განასხვავა მდიდარი, ღარიბისაგან. ვინაიდან

ამ მოდელის შექმნისას სემეკს არ გააჩნდა რეალური სტატისტიკური მონაცემები, როგორცაა, უმწეო შინამეურნეების რაოდენობა, მათ მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის მოცულობა თვეების მიხედვით და ა.შ.. ბუნებაში ეს მონაცემები არ არსებობს და არც იქნება, მანამ, სანამ მოსახლეობაში ელექტროენერჯის ხარჯების აღრიცხვა იწარმოებს კომუნალური მრიცხველებით.

ელექტროენერჯის ტარიფის დადგენა და რეგულირება რთული და სათუთი საქმეა. ტარიფის ოპტიმალური სიდიდის განსაზღვრა უნდა ეფუძნებოდეს ობიექტურ სტატისტიკურ ინფორმაციის ბანკს (რეალური და საპროგნოზო მონაცემთა ბაზას).

ენერგომატარებლების ტარიფებთან დაკავშირებით არსებული ანარქია კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ტარიფზე უნდა განხორციელდეს მონიტორინგი

ელექტროენერჯის სამომხმარებლო ტარიფი მრავალ პარამეტრსა და ფაქტორზე დამოკიდებული რთული ფუნქციაა და მისი სიდიდის დადგენა სისტემურ მიდგომას მოითხოვს. დროა მთავრომ გააცნობიეროს, რომ ტარიფი განსაზღვრავს ქვეყნის ენერგორესურსების გამოყენების ეფექტურობას, ელექტროენერჯის წარმოებისა და მოხმარების სწორ დაგეგმვას, ქვეყნის ეკონომიკაში ინვენსტიციების მოზიდვის პერსპექტივებს, ეკონომიკის, კულტურის, ჯანდაცვის და სოციალური და სხვა სექტორების განვითარების დინამიკას, მომხმარებლის იტერესების და უფლებების დაცვის დონეს, გარემოს დაცვის ხარისხს და სხვა.

## რეზიუმე

### რამ გამოიწვია საქართველოში ხანგრძლივი ენერგოკრიზისი?

საქართველოში ენერგოკრიზისი გამომწვევი ძირითადი მიზეზები იყო:

- ენერგოსექტორში ძირითადი ფონდების ტექნიკური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება, დანადგარებისა და მოწყობილობების ფიზიკური და მორალური ცვეთა;
- მთავრობის მიერ გატარებული მანკიერი ენერგო და საკადრო პოლიტიკა;
- არასრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა;
- ენერგოსექტორში გატარებული რეფორმის დაბალი დონე;
- სემეკის კომისიის წევრების უპრინციპულობა, ობიექტური და ინოვაციური გადაწყვეტილებების მიღების უუნარობა;
- კორუფციის არნახული მასშტაბები;
- ენერგოსექტორში გაზრდილი ტექნიკური და კომერციული დანაკარგები;
- ელექტროენერჯის აღრიცხვა-დარიცხვის და მისი საფასურის ამოღების უკიდურესად დაბალი დონე.

### 2. როგორი შეფასება უნდა მიეცეს სახელმწიფო-მინისტრის ბატონ კ. ბენდუქიძის მიერ დამუშავებულ და რეალიზებულ ელექტროენერჯეტიკის სექტორის რეფორმას?

ეს არ იყო რეფორმა. ეს იყო რეფორმაზე ამოფარებული მთავრობის მაღალი რანგის ჩინოვნიკების მიერ მზაკვრული გეგმის (გარიგების) რეალიზაცია, რომელიც მიზნად ისახავდა ენერგობიექტების “პრიხვატიზაციას” და მათ ბაზაზე ახალი კომპანიის

“ენერგო პრო“-ს დაფუძნებას და მისი ფუნქციონირებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნას.

**3. რა კვალიფიკაცია უნდა მიეცეს “რეფორმატორის” “მოღვაწეობას” ? ვინ არიან “რეფორმატორის” მხარდამჭერები?**

საქმე გვაქვს კარგად გააზრებულ, კარგად დაგეგმილ და კარგად განხორციელებულ დიდი მასშტაბის გარიგებასთან. “რეფორმის” იდეოლოგი იყო ბატონი კ. ბენდუქიძე, რეფორმის ლობისტი - იმჟამინდელი პრემიერ-მინისტრი ბატონი ზ. ნოღაიდელი, ხოლო პასუხისმგებელი შემსრულებლები - საქართველოს მთავრობის მაღალი რანგის ჩინოვნიკები და სემეკის წევრები.

**4. რა შედეგები მოჰყვა “მზაკვრულ რეფორმას”?**

**4.1.** მთავრობის წნეხის ქვეშ მყოფმა სემეკმა ხელოვნურად გაუზარდა ტარიფი ტენდერზე გასატან 9 ენერგო-ობიექტს, მათ შორის განაწილებას 100%-ით, ხოლო ჰიდროელექტროსადგურებს - (133-177)%-ით, რითაც მომხმარებლის ხარჯზე “ენერგო პრო“-ს გაუზარდა წლიური ჯამური შემოსავალი სულ მცირე 137 მლნ. ლარით.

**4.2.** მთავრობის 2007 წლის ინფორმაციით “ენერგო პრომ” 317,44 მლნ.აშშ. დოლარად შეისყდა 9 ენერგო-ობიექტი, მათ შორის: გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანია (UEDC) - 85 მლნ.აშშ.დოლარად, “აჭარის სადისტრიბუციო კომპანია” - 30 მლნ.აშშ. დოლარად და “კახეთის ენერგოდისტრიბუცია” - 5,1 მლნ.აშშ. დოლარად, “ანწკესი” 18 მგვტ სიმძლავრის - 5,12 მლნ.აშშ. დოლარად, “ლაჯანურკესი” 119 მგვტ - 66,5 მლნ.აშშ. დოლარად, “გუმათკესი” 67 მგვტ - 45 მლნ.აშშ. დოლარად, “მევრულაპესი” 80 მგვტ - 20 მლნ.აშშ. დოლარად, “შაორკესი” 38 მგვტ - 436 მლნ.აშშ. დოლარად და “რიონკესი” 50 მგვტ - 44,7 მლნ.აშშ. დოლარად. ამ სადგურების ჯამური სიმძლავრე 372 მგვტ-ს შეადგენს. “ენერგო პრო” დღეს საქართველოში ელექტროენერჯის დისტრიბუციის სეგმენტის 62,5%-ის მფლობელია, და ის მონოპოლისტურ კომპანიას წარმოადგენს.

ევროკომისიის 2007 წლის ანგარიშში მოცემული ინფორმაციით “ენერგო პრო“-ს 9 ენერგოობიექტზე გადახდი-

ლი აქვს 132 მლნ.აშშ. დოლარი. ამასთან, განუზრახავს 285 მლნ.აშშ. დოლარის ინვენსტირება საქართველოს ენერგოსექტორში.

**4.3.** “ენერგო პრო” ენერგოსექტორში ჩადებულ ინვე-სტიციებს ამოიღებს 3,7 წელიწადში, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა ენერგეტიკის ისტორიაში. ენერგოობიექტების ამონაგების ამოღების სავარაუდო ვადა 7-დან 30 წლამდე მერყეობს და დამოკიდებულია ენერგოობიექტის სიმძლავრეზე და ელექტროენერჯის გაყიდვების ბაზრის ფინანსურ შესაძლებლობებზე.

როგორ, რა მოტივაციით და რა უფლებით მოხდა ტენდერის პირობების და შედეგების შეცვლა “ენერგო პრო“-ს სასარგებლოდ? რატომ მიჰყიდეს “ენერგო პრო“-ს ხალხის ქონება ნახევარ და მესამედ ფასში? ვინ აგებს პასუხს ამ ყოველივეზე? ამ და სხვა კითხვებზე საზოგადოება მთავრობისაგან ელის პასუხს.

**5. რატომ არ აყალიბებს ენერგეტიკის სამინისტრო ტარიფის პოლიტიკას? რატომ არ მონაწილეობს ის ტარიფების დადგენის სრულ პროცესში? რატომ არ ხორციელდება ენერგომატარებლების ტარიფებზე მონიტორინგი?**

ტარიფი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური დატვირთვის მქონე პარამეტრია. ამ პარამეტერში ინტეგრირდება:

- ენერგორესურსების რეგულირების დონე და ხარისხი;
- ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების დონე;
- ენერგოსექტორის განვითარების მასშტაბები;
- ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის განვითარების მაჩვენებლები;
- ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მაჩვენებლები;
- ენერგოდაზოგვის ღონისძიებების გატარების მასშტაბები;
- მომხმარებლის უფლებების დაცვის, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესების, გარემოს დაცვის მაჩვენებლები.

ენერგეტიკის მინისტრმა ბატონმა დ. მირცხულავამ, ჯერ კიდევ 2000 წელს, შეგნებულად გადააბარა “დამოუკიდებელ” სემეკს ეს ურთულესი კომპლექსური და საპასუხისმგებლო პარამეტრი. მას კარგად ესმოდა, რომ ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზის და სასმელი წყლის ტარიფები საქართველოს მთავრობის ინტერესების რეალიზაციის ინსტრუმენტია. არც შემდეგმა მინისტრებმა “აიტკიეს უტკივარი თავი”.

ტარიფების დადგენის პროცესებში ენერგეტიკის სამინისტროს მონაწილეობა შემოიფარგლება სემეკისთვის ენერგომატარებლების წლიური ბალანსის მონაცემების გადაცემით.

მესამე პირის მიერ ტარიფზე მონიტორინგის განხორციელება მავანს არ აწყობს. მან კარგად იცის, რომ ტარიფის მონიტორინგი – ენერგოსექტორის გაკონტროლებაა.

## **6. ითვალისწინებს საქართველოს ენერგეტიკის სექტორის მონიტორინგს ახალი რეფორმა?**

ახალ რეფორმაში გათვალისწინებულია ენერგეტიკის მონიტორინგის სამსახურის (დასაწყისში ასოციაციის) დაფუძნება. ამ ნეიტრალურმა (დამოუკიდებელმა) ინსტიტუტმა ხელი უნდა შეუწყოს ენერგეტიკის განვითარების სტრატეგიის დამუშავებას, ენერგოსექტორის საკანონმდებლო ბაზის სრულყოფას, ენერგოსექტორში არსებული ენერგეტიკული, მატერიალური, ფინანსური, შრომითი, ინტელექტუალური რესურსების სწორ და ეფექტურ გამოყენებას, ენერგოსექტორში ნეგატიური მოვლენების, პირველ რიგში კორუფციის, აღმოფხვრას, სახელმწიფოს, ენერგოსექტორისა და მომხმარებლებს შორის ინტერესების მაქსიმალურ შეჯერებას, ენერგომატარებლების ტარიფების ობიექტურ დადგენას, ენერგობიექტების პრივატიზების პროცესების ობიექტურად ჩატარებას და სხვა.

## **7. რატომ არა აქვს ქვეყანას საპრივატიზაციო ობიექტების სისტემური შეფასების მოდელი?**

ახალი რეფორმა ითვალისწინებს ენერგობიექტების სისტემური შეფასების მოდელის დამუშავებას, რომელშიც იქნება გათვალისწინებული ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და უსაფრთხოების განმსაზღვრელი ფაქტორები.

სისტემური (ინტეგრალური) შეფასების მოდელი მოგვცემს საშუალებას დავადგინოთ:

- ენერგობიექტების რეალური სასტარტო ფასი მათი საპრივატიზაციო ტენდერში გატანამდე;

- საპრივატიზაციო ობიექტების ეკონომიკური ეფექტურობის მაჩვენებლები დინამიკაში (დროის გარკვეული პერიოდისთვის და პერსპექტივაში);

- რა იქნება ქვეყნისა და ხალხისთვის მომგებიანი, სახელმწიფო (სახალხო) ობიექტების:

ა) გაყიდვა ადგილობრივ და უცხოელ მეპატრონეებზე;

ბ) სააქციო საზოგადოებებად ჩამოყალიბება;

დ) სახელმწიფო საკუთრებაში დატოვება.

ობიექტების სისტემური შეფასების მოდელი ხელს შეუწყობს ქვეყანაში პრივატიზაციის პროცესების სწორ და ობიექტურ განხორციელებას და სააქციო საზოგადოებების ჩამოყალიბებას.

**8. რა ძირითად მიზნებს უნდა ისახავდეს -ელექტროენერგეტიკის სექტორის ახალი რეფორმა?**

ახალი პროგრესული რეფორმა უნდა იყოს გათვლილი შორეულ პერსპექტივაზე და მიზნად ისახავდეს ქვეყნის ენერგოსაფრთხოების განმტკიცებას, სახელმწიფოს, ენერგო-სექტორის და მომხმარებლის უფლებების მაქსიმალურ შეჯერებას და უნდა ეფუძნებოდეს:

ა) მეცნიერულად დასაბუთებული პროგრესული ენერგო-პოლიტიკის და ენერგეტიკის სექტორის განვითარების გრძელვადიან სტრატეგიას;

ბ) ენერგეტიკის სექტორის განვითარების მეცნიერულად დასაბუთებულ კონცეფციას;

გ) პროგრესულ საკანონმდებლო ბაზას;

დ) საქართველოს ეკონომიკის განვითარების გრძელვადიან სტრატეგიულ პროგრამას.

*რეფორმის ძირითადი მიზნები უნდა იყოს:*

- საქართველოს ენერგოსაფრთხოების განმტკიცება;

- საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე დაყრდნობით ენერგეტიკის განვითარება;

- ეკონომიკის, საყოფაცხოვრებო, კომუნალური, ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, კულტურისა და სხვა ინფრასტრუქტურების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ელექტროენერგიით;

- ელექტროენერგიის ტარიფის ოპტიმიზაცია;

- ელექტროენერგიის ექსპორტის და ტრანზიტის მნიშვნელოვანი გაზარდა;

- ენერგოსექტორში კორუფციის აღმოფხვრა;

- მომხმარებლის უფლებების და ინტერესების, აგრეთვე გარემოს დაცვისთვის ხელშეწყობა და სხვა.

**9. ახალი რეფორმის მიხედვით რა ძირითადი ღონისძიებები უნდა განხორციელდეს ენერგოსექტორში?**

ახალი რეფორმით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- ელექტროენერგეტიკის სექტორის განვითარების სტრატეგიის ჩამოყალიბება;



– ელექტროენერგეტიკის სექტორის ეფექტური ფუნქციონირებისთვის საჭირო ყველა სახელმწიფო ორგანოს და ბიზნესის სფეროს სუბიექტთა შეთანხმებული მოქმედების

ინსტიტუციონალური მექანიზმების ჩამოყალიბება;

– ელექტროენერგეტიკის სექტორის სამეცნიერო-ტექნოლოგიური მომსახურების უზრუნველყოფა;

– საერთაშორისო რეგიონალურ ენერგეტიკულ სისტემაში ინტეგრაციის პოლიტიკის შემუშავება და რეალიზაცია;

– საქართველოს ენერგეტიკული ბაზრის ოპტიმალური რეგულირება და დაცვა;

– ელექტროენერგეტიკის სექტორის სტრუქტურული და ფუნქციონალური რეორგანიზაცია;

– ენერგეტიკის სამინისტროს სტრუქტურის და ფუნქციების სრულყოფა;

– სემეკის სტრუქტურის და ფუნქციების სრულყოფა;

– საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა;

– ენერგოეფექტიანობის ზრდის სახელმწიფო პროგრამების დამუშავება და მათი რეალიზაციისთვის პოლიტიკური, ორგანიზაციული, სამართლებრივი და ეკონმიკური პირობების შექმნა;

– ენერგოდაზოგვის და ენერგოეფექტურობის პროგრამების დამუშავება და რეალიზაცია;

– მოხმარების სფეროში ენერგეტიკული მენეჯმენტის თანამედროვე მეთოდების დანერგვა;

– ”მომხმარებლის ინტერესების დაცვის დეპარტამენტის” სტრუქტურული და ფუნქციონალური რეორგანიზაცია;

– მსოფლიო სტანდარტების დონის “საქართველოს ელექტროენერგეტიკის ცენტრის” დაფუძნება;

– ”ენერგოდაზოგვის სამსახურის” დაფუძნება;

– უცხოელი ექსპერტების, უცხოეთიდან მიღებული დახმარების ფონდების და გრანტების ობიექტური განაწილება და ეფექტური გამოყენება;

– საქართველოს რეგიონებში მოსახლეობის კერძო სექტორში მოხმარებული ელექტროენერგიის აღრიცხვა-დარიცხვის და ენერგოგადასახადების ამოღების სრულყოფილი ტექნოლოგიების დანერგვა;

– განახლებადი ენერგიის წყაროების განვითარება;

– მცირე ელექტროსადგურების მშენებლობის ტემპების გაზრდა მეცნიერულად დასაბუთებულ კონცეფციაზე დაყრდნობით;

– უცხოეთში გამავალი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების მშენებლობის დაჩქარება;

– ელექტროენერგიის საცალო და სამომხმარებლო ტარიფის პოლიტიკისა და ტარიფის სიდიდის დადგენის მეთოდოლოგიის სრულყოფა;

– საზოგადოების ფართო მასების ჩართვა ენერგეტიკის პრობლემების გადაწყვეტის პროცესში;

– საქართველოს ეროვნულ აკადემიასთან, ენერგეტიკის აკადემიასთან და ტექნიკურ უნივერსიტეტთან აქტიური თანამშრომლობა;

– უცხოეთის შესაბამის ინფრასტრუქტურებთან აქტიური თანამშრომლობა;

– ენერგეტიკის დარგში მომუშავე მეცნიერებთან და წამყვან სპეციალისტებთან საქმიანი და შემოქმედებითი კონტაქტების დამყარება;

– სამინისტროში სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს დაფუძნება;

– საერთაშორისო კონფერენციების და სიმპოზიუმების ჩატარების ხელშეწყობა;

– საზოგადოებრივ ტელემაუწყებლობასთან აქტიური თანამშრომლობა. დასაწყისში სამეცნიერო-შემეცნებითი ტელეგადაცემა “ენერჯის” განახლების და ფუნქციონირების ხელშეწყობა;

- ენერგოდაზოგვის აგიტაცია-პროპაგანდის ხელშეწყობა;

– ყოველთვიური სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალის “ენერჯია” გამოცემის ხელშეწყობა და სხვა.;

#### **10. რაში მდგომარეობს ახალი რეფორმის სიახლე და ორიგინალურობა?**

დღეს ელექტროენერჯიის წარმოების შეწონილი ტარიფი განისაზღვრება: ჰიდროელექტროსადგურებზე და თბოსადგურებზე გამომუშავებული ელექტროენერჯიის შეწონილი ტარიფებით, იმპორტირებული ელექტროენერჯიის ტარიფით, თბოელექტროსადგურების გარანტირებული სიმძლავრის ტარიფით და ენერგოსიტემის ელექტრულ ქსელში ნორმატიული დანაკარგების ტარიფით.

ენერგობაზრის ლიცენზიატების მიერ წარმოებული და იმპორტირებული ელექტროენერჯიის მოცულობები და მათი ტარიფები მკვეთრად განსხვავდებიან. აღნიშნული გარემოება აუცილებელს ხდის ელექტროენერჯიის ღირებულების გასაშუალებლად ე.წ. “ერთიანი ქვავის” პრინციპით, რასაც ემსახურება ელექტროენერჯიის წარმოების საშუალო შეწონილი ტარიფი.

ენერგოდამზოგი ტექნოლოგიების მასშტაბური დანერგვა, ტექნიკური და კომერციული დანაკარგების შემცირება მინიმუმ ახალი სიმძლავრის (ელექტროენერჯიის) “წყაროს” მშენებლობის ტოლფასია. მაგალითად: ენერგოდამზოგი (ფლუორესცენტური) ნათურები არა მარტო ანათებენ, არამედ ირიბად დაბალტარიფიან სიმძლავრის (ელექტროენერჯიის) წყაროს წარმოადგენენ, ვინაიდან ისინი მომხმარებლის კომფორტის გაუმჯობესებით 80%-ით ზოგავენ ელექტროენერჯიას.

ენერგოდამზოგი ნათურების მასშტაბური დანერგვით, ქვეყანაში 4-5%--ით დაიზოგება ძვირადღირებული ელექტროენერჯია. ახალი რეფორმის მოდელის მიხედვით, ე.წ. ტარიფის “ერთიან ქვავში” გათვალისწინებულია, ენერგო-დაზოგვის და ენერგოეფექტურობის მასშტაბური ტექნოლოგიების, ტექნიკური და კომერციული დანაკარგების შემცირების ღონისძიებების განხორციელებით ძვირად-ღირებული ელექტროენერჯიის (მაგ. იმპორტის, თბოელექტროსადგურებში წარმოებული ელექტროენერჯიის) მოცულობის წილის შემცირება. ეს უკანასკნელი კი იძლევა შეწონილი ტარიფის შემცირების საშუალებას გარკვეული სიდიდით.

ტარიფში მიღებული რეზერვი შეიძლება გამოყენებულ იქნეს:

ა) სამომხმარებლო ტარიფის შემცირებისთვის;

ბ) დღეს არსებულ ტარიფის სიდიდის შენარჩუნების შემთხვევაში “ენერგოდაზოგვის, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესების და გარემოს დაცვის” პროექტების დასაფინანსებლად.

ახალი რეფორმის სიახლეს მიეკუთვნება ელექტრო-ენერგეტიკის სექტორის სტრუქტურის სრულყოფა, კერძოდ ახალი სამსახურების დაფუძნება, როგორებიცაა: “ენერგო-დაზოგვის და ენერგოეფექტურობის სამსახური”, “ენერგეტიკის მონიტორინგის სამსახური”, “საქართველოს ელექტრო-ენერგეტიკის ცენტრი” და კონცეპტუალურ ღონისძიებებში მოყვანილი რიგი პოზიციები.

**11. რატომ არ იწვევს ენერგოდაზოგვი ნათურები მასშტაბურად? რატომ იბლოკება საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 26 აგვისტოს №1062 განკარგულება “საქართველოში ენერგოდაზოგვი ნათურების დანერგვისა და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების შესახებ”?**

საქართველოში ენერგოდაზოგვი ნათურების დანერგვის დაბალი დონე აიხსნება:

ა). დღეს მოსახლეობის უმეტესი ნაწილი არარის ინფორ-მირებული ენერგოდაზოგვი ნათურების გამოყენების ეფექტურობაზე;

ბ) მოსახლეობის 85%-ს არა აქვს საშუალება შეიძინოს ძვირადღირებული ენერგოდაზოგვი ნათურები. სოციალურად დაუცველი ფენა, რომელიც ქვეყნის მოსახლეობის 60%-ს შეადგენს, დიდი გაჭირვებით იხდის ელექტრო-ენერგიის საფასურს;

გ) საქართველოში არ არსებობს ენერგოდაზოგვი ნათურებზე საგარანტიო მომსახურება;

დ) ქვეყანაში ელექტროენერგიის წარმოების მნიშვნელოვანმა ზრდამ, მომხმარებლის მასშტაბურმა გამრიცხველიანობამ, ენერგოქსელში ტექნიკური და კომერციული დანაკარგების შემცირებამ, სამომხმარებლო ტარიფის მკვეთრმა ზრდამ და სხვა ფაქტორებმა გამოიწვია ელექტროენერგიის წლიური ბალანსის დარღვევა. კერძოდ, ენერგობაზარს გაუჩნდა 20-25%-იანი სიმძლავრის (ელექტროენერგიის) რეზერვი. ენერგოსექტორი დღეს-დღეობით ამ რთულ მდგომარეობიდან გამოსავალს სემეკის მიერ ხელოვნურად გაბერილ ტარიფის რეზერვით ახერხებს. ასე იქნება მანამ, სანამ ქვეყანაში არ გაიზრდება მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე და შეზღუდული იქნება უცხოეთში გამავალი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების სიმძლავრე.

ცხადია, რომ ელექტროენერგიის წლიურ ბალანსის და ტარიფების ობიექტურად დადგენის შემთხვევაში ენერგოსექტორს შეუძლირდება შემოსავალი და შეექმნება ფინანსური პრობლემები.

დღეს ქვეყანაში ელექტროენერგიის მოხმარების მასშტაბური დაზოგვა არ შედის ენერგეტიკის სამინისტროს ინტერესებში, ვინაიდან ის იძულებულია დაიცვას ენერგო-სექტორისა და მისი «პატრონების» ინტერესები. ბუნებრივია, რომ ეს ყოველივე ხორციელდება მომხმარებლის უფლებების უხეში დარღვევის ხარჯზე.

ელექტროენერგიის ხელოვნურად გაზრდილი სამომ-ხმარებლო ტარიფმა და უცხოეთში გამავალი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების მშენებლობის გაჭიანურებამ წლების მანძილზე ხელი შეუშალა საქართველოს ტერიტორიაზე ელექტროენერგიის ტრანზიტის მასშტაბების გაზრდას და დაბლოკა ენერგოდაზოგვის, მომხმარებლის სოციალური პირობების გაუმჯობესების და გარემოს დაცვის პროექტების რეალიზაცია.

აღნიშნულის შედეგად რამდენიმე ასეული მილიონი ლარით დაზარალდა ქვეყნის ეკონომიკა და მოსახლობა.

## **12. რას ითხოვთ მთავრობისაგან?**

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გარდამავალ პერიოდში, ენერგოსექტორში არსებული მწვავე გადაუდებელი პრობლემების მოგვარება სახელმწიფოს აქტიური მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელია.

ელექტროენერგეტიკის სექტორში ახალი პროგრესული რეფორმის გატარებით პირველ რიგში ქვეყნის მთავრობა უნდა იყოს დაიტერესებული. ამის მოტივაციაა:

ა) საქართველოს ენერგოუსაფრთხოების განმტკიცება;

ბ) ქვეყნის მოსახლეობის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამოყვანის დაჩქარება;

გ) ენერგოდამზოგი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშემწყობი პოლიტიკის და საკანონმდებლო ბაზის შექმნის აუცილებლობა;

დ) უცხოეთში გამავალი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების მშენებლობის დაჩქარების აუცილებლობა და ამით საქართველოსთვის პოლიტიკურ-ეკონომიკური დივიდენდების მიღება;

ე) ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების განმტკიცება, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობებისა და გარემოს დაცვის გაუმჯობესება.

## **13. ითვალისწინებს ახალი რეფორმა ევროკავშირის ელექტროენერჯის შიდა ბაზრის პრინციპებთან მიახლოებას?**

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (ესპ) სამოქმედო გეგმაში ჩართული 17 პარტნიორი ქვეყნის ურთიერთთანამშრომლობა და მიღწეული გამოცდილების ურთიერთგაზიარება დადებითად იმოქმედებს ესპ სამუშაო გეგმის კონკრეტული ეტაპების შესრულების ხარისხზე. ცხადია, რომ ყველა ქვეყანას ექნება საინტერესო, ორიგინალური და ინოვაციური მოსაზრებები, კონსტრუქციული გადაწყვეტილებები და დამუშავებული პროგრამები (პროექტები).

ესპ სამოქმედო გეგმებში მონაწილე ქვეყნების ექსპერტების მიერ გენერირებული იდეების, პროექტების და რეკომენდაციების შეჯერებისთვის, მიზანშეწონილი და მეტად სასარგებლო იქნებოდა ენერგეტიკის დარქში პარტნიორი ქვეყნების ექსპერტთა საბჭოს შექმნა, რომელიც წინასწარ გაწერილი პროგრამით და დადგენილი გრაფიკით შეიკრიბება მასპინძელ ქვეყანაში.

## **14. რით უნდა დაიწყოს ახალი პროგრესული რეფორმის გატარება?**

ახალი რეფორმის გატარება შესაძლებელი გახდება მხოლოდ საქართველოს მთავრობის მიერ პოლიტიკური ნების გამოხატვით;

ენერგეტიკის სამინისტროსი და სემეკის რეორგანიზაციით;

ელექტროენერგეტიკის სექტორის განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული პოლიტიკის, სტრატეგიისა და პროგრამის დამუშავებით;

ენერგოსექტორში საკანონმდებლო ბაზის სრულყოფით;

ენერგოსექტორის სტრუქტურისა და მისი ფუნქციების სრულყოფით.

## გენადი მესხია

---

### საქართველოს ელექტროენერგეტიკის სექტორში პროგრესული რეფორმა უნდა გატარდეს

იბეჭდება ავტორის მიერ წარმოდგენილი სახით

გადაეცა წარმოებას	15. .06. 2009
ხელმოწერილია დასაბეჭდად	10. 06. 2009
საბეჭდი ქაღალდი	60x84, 1/8
პირობითი ნაბეჭდი თაბახი	24,25
ტირაჟი	200
ფასი შეთანხმებით	

საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”  
თბილისი, კოსტავას 77

2009 წ.